



# ახალი ბანათლები

23 - 29 მარტი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№11 (765) ბაზრობის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ბაზრობები 2017

**20 მარტი**

**5 აპრილი**

პრაქტიკოს მასწავლებელთა და მასწავლებლოვის მსურველთა, ასევე მაგისტრანტოვის კანდიდატთა რეგისტრაცია ვებგვერდებზე – [www.naec.gov.ge](http://www.naec.gov.ge), [online.naec.ge](http://online.naec.ge) – 5 აპრილს 18.00 საათზე დასრულდება

მონაწილეები საგამოცდო ბარათების ელექტრონულ ვერსიებს პირადი გვერდიდან (გვერდი, სადაც რეგისტრირდებიან აპლიკანტები) ამოიხედავენ და მნიშვნელოვანია, რომ ბარათზე მოცემული ყველა ინფორმაცია დაბეჭდილი იყოს მკაფიოდ, ხარვეზების (წყვეტა, ლაქები და ა.შ.) გარეშე.

პრაქტიკოს მასწავლებლებს საშუალება აქვთ, საგნის კომპეტენციის გარდა, პროფესიული კომპეტენციაც დაადასტურონ. პედაგოგობის მსურველ აპლიკანტებს კი, მხოლოდ საგნის გამოცდის ჩაბარება შეეძლებათ.

**ყველა პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის რეგისტრაცია უფასოა.**  
**მასწავლებლოვის მსურველი აპლიკანტებისა და მაგისტრანტოვის კანდიდატებისთვის რეგისტრაციის საფასური 50 ლარია.**

პრაქტიკოს მასწავლებლებს უფლება აქვს: დარეგისტრირდეს ელექტრონულად (მხოლოდ ერთ საგანში კომპეტენციის დასადასტურებლად) და ასევე პროფესიული კომპეტენციის დასადასტურებლად ვებგვერდებზე: [www.naec.gov.ge](http://www.naec.gov.ge) და [online.naec.ge](http://online.naec.ge)

მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან პროგრამაში ჩასართავად უფლება აქვს, მხოლოდ ერთი საგნის გამოცდის ჩასაბარებლად დარეგისტრირდეს ბაკალავრი, მაგისტრი და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ნებისმიერი პირი.

მასწავლებლობის მსურველებმა, პარალელურად, რეგისტრაცია უნდა გაიარონ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებში და წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამონმჭებული ასლი.

**2017 წლის პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელ ტესტში მცირე ცვლილებებია შესული.**

2017 წლის პროფესიული უნარების ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: სასწავლო გარემო, სწავლება და პროფესიული განვითარება.

**მაქსიმალური ქულაა 70.**

**ტესტში შვება შემდეგი ტიპის დავალებია:**

**არჩევითობასუხიანი დავალება** ოთხი სავარაუდო პასუხით, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი (დავალე-ბა ერთქულიანია).

**შესაბამისობის დავალება**, რომელიც ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება.

ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩანეროთ თანდართულ ცხრილში (დავალე-ბა ერთქულიანია).

**ლიადაბოლოებიანი დავალება**, რომელიც მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ (თითოეული ლიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა).

**კომპატიბილურობის დადასტურება და გამოცდის ჩაბარება შესაძლებელია შემდეგ საგნებში:**

- ქართული ენა და ლიტერატურა (დანყებითი საფეხური);
- მათემატიკა (დანყებითი საფეხური);
- ბუნებისმეტყველება (დანყებითი საფეხური);
- ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV კლასები);
- ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ქართული, როგორც მეორე ენა (დანყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური).
- საზოგადოებრივი მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური):
  - ა) ისტორია;
  - ბ) გეოგრაფია;
  - გ) სამოქალაქო განათლება.
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური):
  - ა) ფიზიკა;
  - ბ) ქიმია;
  - გ) ბიოლოგია.
- უცხოური ენები (დანყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური):
  - ა) ინგლისური;
  - ბ) გერმანული;
  - გ) ფრანგული;
  - დ) რუსული.
- ესთეტიკური აღზრდის საგნები:
  - ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
  - ბ) მუსიკა;
  - გ) სპორტი.
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

**როგორ გავხდეთ მასწავლებელი პროფესიაში შემოსვლის „ბანათლებული“ გზები**



**ღეგატები – ლიტერატურის ბაკვეთილის ნაწილი აზროვნების განვითარებისათვის**



**კვალი ნათელი ამერიკული სამხედრო ავიაციის ლეგენდა**

გვ. 5

**წიგნის თარი მასწავლებლის გიგლიოთაჟა**

**პროფესიული უნარები დახმარა სახელმძღვანელო მანკათუნილია უწყა საგნის მასწავლებლისთვის**

**პროფესიული უნარების სახელმძღვანელო**

დაგეგმარებათ დამოუკიდებლად მოეზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

**თემატიკა:** ბაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისტ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, ბაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

**ფასი – 15 ლარი მიმდინარეობს ხელმოწერა**





# დებატები – ლიტერატურის გაკვეთილის ნაწილი ჯორჯინიის განვითარებისათვის

ანა ფირცხალიაშვილი

ეს არ იყო ჩვეულებრივი გაკვეთილი ტრადიციული გაგებით, მაგრამ ეს იყო გაკვეთილი, რომელიც, ყოველგვარი საგნობრივი გამოკითხვის გარეშე, ადვილად დაგარნმუნებთ, თითოეული მოსწავლე, ნებისმიერ შეთავაზებულ თემაზე, როგორ თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას, კამათობს ოპონენტთან, ცდილობს საკუთარი აზრის უპირატესობაში დაარწმუნოს იგი და ამას შესაძური აქტიურობით აკეთებს. აქ არ არიან გამორჩეულად აქტიური ან პასიური ბავშვები; კარგად ჩანს, რომ მოსწავლეების მიერ შეთავაზებული მეთოდი ყველასთვის თანაბრად მისაღები და სახალისოა.

გაკვეთილის პრინციპი კი ასეთია: ბაქსუდის სკოლის ქართულის მასწავლებლის, ნიკა ჩუბინიძის მოთხოვნით, მეხუთეკლასელები აწარმოებენ „აზრების დღიურს“, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები დღიურში აკეთებენ მოკლე ჩანაწერს, მათი აზრით, რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის ან მოსაზრების შესახებ და განსახილველად სთავაზობენ ერთმანეთს. ნიკა მასწავლებლებს ამბობს, რომ ასეთი დებატები გაკვეთილის ნაწილი და საუკეთესო საშუალებაა თავისუფალი აზროვნების განვითარებისათვის. აზრის მკაფიოდ გამოხატვის, საკუთარი პოზიციის დაცვის უნარის გამოუმუშავება ლიტერატურის (და არა მარტო ლიტერატურის) სწავლების უმთავრესი მიზანია, რაც ნიგნინების გარეშე ვერ მიიღწევა. „ჯერ არავის მოუფიქრებია ისეთი მეთოდი და საშუალება, რომელიც ნიგნის კითხვას შეცვლის. სწორედ ნიგნინებმა საფუძველი იმისა, რომ იყოთ საზრიანები, ჭკვიანები და განათლებულები“ – მიმართა გაკვეთილის დაწყებამდე მოსწავლეებს ნიკა ჩუბინიძემ.

იმ დღეს V<sup>ბ</sup> კლასელები წარმოგიდგინებდნენ თავიანთ „აზრების დღიურს“. გაკვეთილი სკოლის ბიბლიოთეკაში ჩატარდა, დარბაზი პარალელურკლასელებმა (ისინიც ამ მეთოდით მუშაობენ და საკუთარი სურვილით დაესწრნენ გაკვეთილს, მომდევნო გაკვეთილზე მათაც მიეცემათ იგივე შესაძლებლობა), მშობლებმა და პედაგოგებმა შეაყვას.

გაკვეთილი ნინო გოჭაძეს მიჰყავდა V<sup>ბ</sup> კლასიდან. პირველი, ვინც საკუთარი აზრი გაგვიზიარა, მარიამ კილაურიძე იყო. ეკრანზე მოსაზრება განხდა, რომელიც, დაახლოებით, ასე ჟღერდა – ადამიანი ისეთი უნდა იყოს, როგორც თავად უნდა, იყოს და არა ისეთი, როგორც სხვებს უნდათ, დაინახონ, პარალელურად – ერთი და იმავე ქალის ფოტო, სხვადასხვა იმიჯით. როგორც მარიამმა გვითხრა, ეს აზრი ერთმა ფილმმა შთააგონა. მთავარი გმირი, პირველ ფოტოზე, საკუთარი გემოვნებითაა ჩაცმული, მეორეზე – სხვათა აზრის გათვალისწინებით და გაველენით. გოგონას მიაჩნია, რომ არ უნდა დაემორჩილა საზოგადოებრივ აზრს, აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს ინდივიდუალობა. მისი ოპონირება არ იყო იოლი, თუმცა არც ოპონენტები იყვნენ რადიკალურად განსხვავებული აზრის.

მეტი აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა დანიელ მესტიაშვილის ამ მოსაზრებას: „ადამიანები შედარებით ნელა რომ იზრდებოდნენ, ანუ უფრო დიდხანს რომ ცოცხლობდნენ, უფრო კარგი იქნებოდა, რადგან დიდხანს არ გარდაიცვლებოდნენ ჩვენი საყვარელი ადამიანები“.

ჟიურის წევრების (ასე ჰქვიათ ოპონენტებს) ემოციური გამოსვლები, ძირითადად, ასეთი შინაარსის იყო:

- დაუსრულებლად თუ გაგრძელდა სიცოცხლე, ცხოვრებას აზრი დაეკარგება;
- ღმერთმა ასე დაანესა – ადამიანი იბადება, ცხოვრობს და მერე მიდის – ყველას თავისი დრო აქვს;
- ადამიანი 100-ს რომ გადასცილდება, შეიძლება იმდენი ვინმე მოუკვდეს, რომ ძალიან გულნატკენი იყოს;
- რაც მეტ დროს ატარებ საყვარელ ადამიანთან, მით უფრო მტკივნეულია მასთან განშორება;
- ბევრ ხანს თუ იცოცხლებ, ბევრი სევდა დაგიგროვდება და დიტანჯები, ჯობია ისე დარჩეს, როგორც არის.

ბევრი იკამათებს ბავშვებმა სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ, თუმცა დანიელი მაინც თავის აზრზე დარჩა – რაც შეიძლება დიდხანს იცოცხლონ ჩვენმა საყვარელმა ადამიანებმა, „მაგალითად, 300 წლებამდე“.

მარიამ თავაძის იდეა სახელმწიფოში კანონით ევალებოდად ადამიანებს გაჭირვებულების დახმარება. ოპონენტები ასე ეხმარებოდნენ მის მოსაზრებას:



- ეს აზრი არასწორია იმიტომ, რომ არ შეიძლება დაუსრულებლად აძლევდნენ ადამიანები სხვას ფულს;
  - ფულს, რატომ? – პასუხობს მარიამი – მთავარია, ასწავლო რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ იცხოვრო;
  - ჩვენს ქვეყანაში ბევრი გაჭირვებულია, მდიდარი – ცოტა, სულ რომ სხვებს დახმარონ, ისინიც გაღარიბდებიან, ამიტომ სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ. გაჭირვებულს ის ურჩევნია, სამუშაო ჰქონდეს და არა ის, რომ სხვამ არჩინოს...
- კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა თემის გარშემო კამათი, რომ მათემატიკის მასწავლებელი სოსო მჭედლიშვილი არ ჩარეულიყო. მან ბავშვების ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ მარიამი მხოლოდ ფულად დახმარებას არ გულისხმობდა – „უნდა დაეხმარო იმის სწავლებაში, რაც გულისხმობს ცხოვრების სწორად გავლას“ – დააზუსტა ბატონმა სოსომ.

„ყველას ცხოვრებაში არის რაღაც საინტერესო, რაც სიცოცხლეს უხალისებს“ – გვეუბნება ლილე ბოგვერაძე. პირველი, რაც მის ოპონენტს აზრად მოსდის, ეს კითხვაა – რა გაუხალისებს ღარიბს ცხოვრებას, მას ხომ ფული არ აქვს? ამიტომ ეს აზრი არასწორია; სხვანაირად ფიქრობს მისი თანაკლასელი, რომელსაც მიაჩნია, რომ თუ ეს ღარიბი ქალი (?) და გაუჩნდა შვილი, ხომ ძალიან გაუხარდება. თუმცა, პასუხად ისევ შეკითხვას იღებს – თუ ფული არ აქვს, როგორ გაზრდის? ამ თემის ირგვლივაც არაერთი მოსაზრება გამოითქვა. ერთი ამტკიცებდნენ, რომ ყველა ადამიანის ცხოვრებაში, მათ შორის ღარიბის ცხოვრებაშიც, შეიძლება მოხდეს საინტერესო და სახალისო ამბავი და რაკი ცხოვრება სირთულეების გარეშე არ არსებობს, პრობლემები მდიდრებსაც აქვთ; მეორენი, სკეპტიკურად განწყობილები, ამტკიცებდნენ, თუ მატერიალურად არ იქნები უზრუნველყოფილი, ვერანაირ პრობლემას ვერ დაძლე, მუდმივად სხვები ხომ ვერ დაგეხმარებიანო.

მარიამ ხაბარელი მართლაც სერიოზულ საკითხს შეუწუხებია: „ყველგან, სადაც კიბე ან შენობის ასასვლელია, კარგი იქნებოდა, ყოფილიყო ინვალიდებისათვის გამოყოფილი გზა, რომელიც გაუადვილებდა გადაადგილებას“. თანატოლები, ძირითადად, დაეთანხმნენ მარიამს, მხოლოდ იმაზე მსჯელობდნენ, სად სჯობდა ასეთი გზის გაკეთება – ლიფტამდე, კიბეებთან თუ კიდევ სხვაგან. უფროსებმა კი ბავშვებს ტერმინოლოგიის შეცვლა ურჩიეს და აუხსნეს, რომ ასეთ შემთხვევებში სჯობს გამოვიყენოთ ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.

გამორჩეული იყო სანდრო ურუშაძის მიერ შემოთავაზებული აზრი: „ბავშვებთან ურთიერთობის დამყარება უფრო ადვილია თამაშით, ვიდრე საუბრით“. აი, რას ფიქრობენ სანდროს კლასელები ამის შესახებ:

- სულ თამაშით ურთიერთობა არ შეიძლება, სანდრო აკონკრეტებს – მხოლოდ გაცნობის პერიოდს ვგულისხმობ, თამაშით რომ გაიცნობ, მერე უფრო გაუგებთ ერთმანეთს.
- პირველად შეიძლება, მაგრამ არ უნდა მიეჩვიოს ამას, თორემ

რემ რომ გაიზრდება, ეგონება, რომ მაშინაც ასეა საჭირო; • თამაშით ვერ მიხვდები, როგორი ადამიანია, გულში რას ფიქრობს, ბოროტია თუ კეთილი. ეს რომ გაიგო, უნდა ელაპარაკო, ისაუბროთ სხვადასხვა რამეებზე.

ანასტასია რურუამ, რომლის აზრითაც „მათხოვრებისთვის უნდა იყოს თავშესაფარი და სასიცოცხლო პირობები“, თანატოლებისგან შენიშვნა მიიღო – ასე უხეშად არ უნდა დაგვეწერა, უნდა იყოს „მზრუნველობას მოკლებული“... უმეტესობა დაეთანხმა ანასტასიას, ზოგმა თქვა, რომ ასეთი თავშესაფარი არ არის, ოღონდ მეტი უნდა იყოს და კეთილმოწყობილი.

ასეთივე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა ანი ღლონტის, ნიკოლოზ იაშვილის, ნიკო აბულაძის და სხვათა მიერ შემოთავაზებულ აზრებს. გაკვეთილი დიდხანს გაგრძელდა. ყველას უნდოდა საკუთარი აზრის გამოხატვა – ვის თანხმობის, ვის მოწონების, ზოგი ნაწყენიც დარჩა, რომ დროში შეზღუდეს. ნიკო მასწავლებელი ამბობს, რომ დროთა განმავლობაში აზრის გამოხატვის კულტურაც დაიხვეწება და ნელ-ნელა აზროვნების უნარის ჩამოყალიბებაში გადაიზრდება. ლიტერატურის მიზანიც ესაა. წლების შემდეგ, როცა თავად იქნებიან მინისტრები, პარლამენტარები, ქვეყანაში ისეთი პირობების შექმნას უზრუნველყოფენ, სადაც აღარ იქნება ის პრობლემები, რომლებზედაც დღეს სწუხან. ასე რომ მოხდეს, მათ აუცილებლად კარგად უნდა ისწავლონ და ბევრი ნიგნი წაიკითხონ.

გაკვეთილის ბოლოს ბავშვებს ქართულის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაია ცხვედიანმა მიმართა: „აღფრთოვანებული ვარ ამდენი ჭკვიანი ბავშვის მოსმენით, რომლებიც ისეთ საკითხებზე დაფიქრებულან, სულ რომ აინტერესებს ადამიანს; რამდენი წლისაც არ უნდა ვახდეთ, ეს ინტერესი არ განელდება, იმიტომ რომ ეს მუდმივად საინტერესო საკითხებია. კარგია, რომ გისწავლიათ ფიქრი. ადამიანი როცა ფიქრობს, გონებრივად იზრდება და ყალიბდება, სრულყოფილები ხდება. ძალიან გამახარა თქვენმა ინტერესმა, რომ გინდათ გამოთქვათ საკუთარი აზრი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი უნარია. ჯერ მხოლოდ მეხუთეკლასელები ხართ და არ იცით, რამხელა გამარჯვება მოგიპოვებიათ, რომ გაგიჩნდათ სურვილი თამამად გამოთქვათ საკუთარი აზრი. იფიქრეთ ბევრი, იკითხეთ ბევრი, დასვით კითხვები და გამოთქვით თქვენი აზრი. ეს იმის საწინდარია, რომ იქნებით ჭკვიანები, თქვენი ცხოვრება იქნება საინტერესო და არა ერთფეროვანი და მოსაწყენი. მაღლობა თქვენს მასწავლებელს, ცოდნის წადილი რომ გაგიღვიძოთ და ასე ფიქრი გასწავლათ.“

ყველა ლიტერატორი ვერ იქნება, მაგრამ მსჯელობის და აზრის გამოთქმის, საკუთარი პოზიციის დაცვის და სხვისი ოპონირების უნარი უნდა გქონდეთ.

არსებობს ფაქტობრივი მასალა და მისი ცოდნა და არსებობს უნარები. აი, ამ უნარების განვითარებისკენაა სკოლა, პირველ რიგში, მიმართული. ჩვენ გვყავს უნარების პედაგოგიც, რომელიც ასაკის შესაბამისად მუშაობს – დაწყებით საფეხურზე ლოგიკური უნარების განვითარებისთვის, მაღალკლასეებში – ანალიტიკური უნარების. მართალია, ეს შრომა ამოუწურავია და არასოდეს თავდება, მაგრამ სახალისო, საინტერესოა და შედეგზე ორიენტირებული.

დღევანდელმა ჩვენმა შეხვედრამ ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა“.

ბოლოს, საგანგებოდ შერჩეულმა ჟიურმა, დამსწრეთა აღფრთოვანებული შეძახილების ფონზე, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოსწავლეები სერტიფიკატებით დააჯილდოვა:

1. ნიკოლოზ აბაჭაძე – ყველაზე გონივრული მოსაზრების ავტორი;
2. მარიამ თაბაძე – ყველაზე საინტერესო მოსაზრების ავტორი;
3. მარიამ კილაურიძე – ყველაზე ლოგიკური მოსაზრების ავტორი;
4. ნიკოლოზ გუზარაძე – ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრების ავტორი;
5. დანიელ მესტიაშვილი – ყველაზე კრიტიკული მოსაზრების ავტორი;
6. ნიკო აბულაძე – ყველაზე ანალიტიკური მოსაზრების ავტორი.



პროფესიული განათლება

საკითხის სამართლიანად გადაწყვეტის მოლოდინში

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციამ, რომელიც 2013 წელს დაფუძნდა, 2017 წლის თებერვალში, ტრადიციულად, ასოციაციის მორიგი ფორუმი გამართა, სადაც პროფესიულ განათლებაში ჩართული ყველა მხარე შეიკრიბა. მონაწილეებს შორის იყვნენ ასოციაციის წევრი 45 კოლეჯი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ალექსანდრე ჯეჯელავა, პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, საქართველოს პროფესიული კავშირის თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე თამარ მახარაშვილი და სხვა მონაწილეები.

ფორუმზე სიტყვით გამოვიდა განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა და წარმოადგინა პროფესიული განათლების განვითარების ხედვა, რაც დამსწრე საზოგადოებამ სრულად გაიზიარა და გამოითქვა შემდგომი თანამშროლობის სურვილი.

ამ წერილში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ საკითხზე, რაც წლების განმავლობაში რჩება პრობლემად და დღესაც არ არის გადაწყვეტილი.

კერძო პროფესიული სასწავლებლები ფორმალურად წარმოადგენენ პროფესიული განათლების სისტემის ნაწილს და

იმის მაგივრად, რომ სისტემის სიკეთეები მათაც შეეხოთ, წლების განმავლობაში, განიცდიან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას.

კერძო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის არათანაბარი კონკურენტული გარემოა. სახელმწიფო სოლიდურ სახსრებს ხარჯავს საჯარო კოლეჯების მოსახყობად და აფინანსებს მხოლოდ იმ სტუდენტების სწავლას, ვინც საჯარო დაწესებულებას ირჩევს. კერძო სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტებს სახელმწიფო არ აფინანსებს, ამ მიდგომას ვგულისხმობთ არათანაბარ კონკურენტულ გარემოში. აუცილებლად მიგვაჩნია მთავრობის მხრიდან სტუდენტთა დაფინანსების წესის ცვლილება.

სანამ ასეთი ცვლილება განხორციელდება, მინისტრი დაგვიპირდა (როგორც პირველი ნაბიჯი გარემოს გაუმჯობესების გზაზე), რომ იმ რეგიონებში, სადაც კერძო სასწავლებლები ახორციელებენ პროფესიულ პროგრამებს, სახელმწიფო არ შეიტანდა ანალოგიურ პროგრამებს, მაგრამ ეს პირობა მალევე დაირღვა. კერძოდ, საქმე ეხება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან სამედიცინო პროფილის პროფესიული პროგრამების დამატებას. ასევე ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ ფილიალის გახსნას ბათუმში.

საქმე ისაა, რომ ბათუმში სამი სამედიცინო პროფილის კერძო სასწავლებელი ფუნქციონირებს და ისინიც კი არ არიან სრულად დატვირთული. არავითარი არგუმენტი არ არსებობს იმის სასარგებლოდ, რომ სახელმწიფო გაიღოს თანხები ასეთი პროგრამების დასაფინანსებლად. გასაგები იქნებოდა, თუკი ასეთ პროგრამებს სახელმწიფო აჭარის სხვა რეგიონში შეიტანდა და არა ბათუმში.

წინა წლებში, ასეთმა გაუზარებელმა მოქმედებებმა გააქრო კერძო სასწავლებლები თელავში, ახალციხეში, გორში. არადა არც ერთი სასწავლებლის გაუქმება არ შედის ქვეყნის ინტერესებში, რადგან იკარგება ინფრასტრუქტურა, გამოცდილი და დატრენინგებული ადამიანური რესურსები. საჭიროა სწორი რეგიონული მიდგომები და კერძო სექტორის წახალისება ამ მიმართულებით, რასაც მინისტრი თავის არაერთ გამოსვლაშიც ადასტურებს.

ასოციაციის გამგეობამ და წევრმა კოლეჯებმა წერილით მიმართეთ ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას ამ პრობლემის მოსაგვარებლად. იმდენ გამომთქვამთ, რომ საკითხი სამართლიანად გადაწყვეტა.

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის გამგეობა

კვალი ნათელი

ამერიკული სამხედრო ავიაციის ლეგენდა

პროექტ „თავისუფალი გაკვეთილის“ ფორმატში კერძო სკოლა ლიცეუმის მოსწავლეები (ხელმძღვანელი - ქიმიის პედაგოგი ქეთი ქიქოძე) აწარმოებენ კვლევებს ემიგრანტთა ცხოვრებისა და მოღვაწეობაზე. ამჟამად, მათ შეისწავლეს ავიაკონსტრუქტორების მიერ განვლილი გზა.

ალექსანდრე ქართველიშვილი

„სრულიად შესაძლებელია ჩვენი ცოდნის ისე გაღრმავება, რომ მთავარს გავცდეთ და ვერწავს და მარსს მივალნიოთ, მთავარია ენთუზიაზმი, შემოქმედებითობა და გამბედაობა გვეყოს“ - ეს სიტყვები ეკუთვნის ალექსანდრე ქართველიშვილს, რომელიც ამერიკული სამხედრო ავიაციის ლეგენდად დარჩა.

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენებისა თუ დევნის გამო, არაერთ ქართველს მოუხდა სამშობლოს დატოვება. ბევრი მათგანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ქართველებმა თითქმის არაფერი იციან. ერთ-ერთი ასეთი ქართველი ამერიკაში მოღვაწე ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი გახლდათ, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო ამერიკის, ზოგადად, სამხედრო ავიაციის განვითარებაში.

დიდი ქართველის (მას დღემდე ასე მოიხსენიებენ ნასასა და ამერიკულ სამხედრო ელიტაში) შესახებ, ბევრს ვერაფერს გავიგებდით, რადგან მას შთამომავლობა არ დარჩენია, რომ არა ამერიკაში მცხოვრები რეჟისორი რამაზ ბლუაშვილი, რომელმაც მოძებნა მისი საფლავი და არქივი.

მეორე მსოფლიო ომში, ასევე კორეასა და ვიეტნამში, ალექსანდრე ქართველიშვილის შექმნილი თვითმფრინავები ამერიკული ავიაციის ძალას წარმოადგენდნენ.

ალექსანდრე ქართველიშვილი დაიბადა 1896 წლის 9 სექტემბერს, თბილისში, ცნობილი მოღვაწის - მიხეილ ქართველიშვილის ოჯახში. დაამთავრა პირველი გიმნაზია, 1917 წელს, იუნკერთა სასწავლებელში, დაინტერესდა ტანვარჯიშით, ჩაენერა ჰაერნაოსნობის წრეშიც. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში საარტილერიო ბატარეის მეთაურად. დაუახლოვდა კაპიტან მაჭავარიანის ავიარაზმს. მაშინ გადაწყვიტა ავიატორი გამხდარიყო. 1919 წელს, სამხედრო განათლების დასასრულებლად, ალექსანდრე პარიზში გაგზავნეს. ოკუპაციის გამო, ემიგრაციაში დარჩენილმა, აეროკლუბის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი საავიაციო სასწავლებლის საინჟინრო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

ალექსანდრე ქართველიშვილმა საფრანგეთში აიხდინა ბავშვობის ოცნება - გამხდარიყო ახალი დარგის, ავიამშენებლის სპეციალისტი. ქართველიშვილი აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ საქართველოში დამყარებულმა ბოლშევიკურმა წყობამ აიძულა საფრანგეთში დარჩენილიყო.

მის ცხოვრებაში გადაამწყვეტი ალმონდა მილიონერ ჩარლზ ლევიანთან დაახლოება, მათ ერთად შეიმუშავეს პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც დაუჯდომლად ჩაფრინდებოდა პარიზიდან ნიუ-იორკში. სწორედ ამ პროექტის დახმარებით მოხვდა ის ამერიკაში, სადაც 1941 წელს ცოლად შეირთო თავისი მდივანი ჯენი როგინსონი. შვილები არ ჰყოლიათ.

თვითმფრინავებმა რომელსაც, „uncle sam“ ერქვა, ცხრა საცდელი ფრენა განახორციელა, მაგრამ ძალიან მძიმე იყო, ხოლო მოტორები, რომელიც ლევილმა შეიძინა, არ შეესაბამებოდა პროპორციებს. ამით დასრულდა მათი ურთიერთობა.

ქართველიშვილს ამერიკაში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა, ამიტომ თავი რომ გაეტანა, მუშაობდა ჭურჭლის მრეცხავად, ასევე გვიდა ეზოებს.

1931 წელს იგი შეხვდა თბილისელ ალექსანდრე სევერსკის, ცნობილი კორპორაციის „seversky aircraft company“ პრეზიდენტსა და მთავარ ინჟინერს. სწორედ სევერსკის კორპორაციაში შექმნილი მოდელები იქცა ქართველიშვილის გამანადგურებლის წინამორბედად. მის კორპორაციაში შექმნილმა მოდელებმა - ამფიბია „sev-3“ - მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.



ორადგილიან p-35 სამხედრო მანქანად გადაკეთებულმა პოპულარობა მოიპოვა სამხედრო მფრინავთა შორის, იგი დიდ პარტიზად შეიძინა შვეიცარიაში, იაპონიაში, ჩინეთში და ქართველიშვილს აღიარება მოუტანა.



1938 წელს სევერსკიმ კორპორაციის ხელმძღვანელობაზე უარი თქვა. კორპორაცია გადაკეთდა „Republic avia-corporation“-ად და კომპანიის ვიცე-პრეზიდენტად და მთავარ ინჟინრად ალექსანდრე ქართველიშვილი დაინიშნა. 1939 წელს კი ახალი გამანადგურებლის დაპროექტება დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომის დროს, თავდაცვის სამინისტროს 1940 წლის კონტრაქტით, ქართველიშვილმა შექმნა გამანადგურებელი P-47 „მესთაიმფრეკვეი“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის მთავარ თვითმფრინავს წარმოადგენდა და დიდი როლი შეასრულა გერმანიაზე გამარჯვებაში. არანაკლები წარმატება ხვდა წილად მის მიერ შემდგომ პერიოდში შექმნილ თვითმფრინავებს. ამერიკის ავიაციის ისტორიის კუთვნილება ქართველიშვილის მიერ შექმნილი თვითმფრინავები: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმატება ხვდა ატომური ბომბით აღჭურვილ რეაქტიულ გამანადგურებელს F-84. ასევე F-105, რომლითაც სენატორი ჯონ მაქქეინი ვიეტნამის ომის დროს დაფრინავდა.

ალსანიშნავია, რომ ქართველიშვილზე ინფორმაციის მოძიება ძალიან რთული იყო, რადგან იგი გასაიდუმლოებულ პროექტებზე მუშაობდა ამერიკაში. ამის გამო, მისი ცხოვრება ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ იყო.

ალექსანდრე ქართველიშვილს თითქმის არ უცხოვრია საქართველოში, ამის მიუხედავად, მაინც მთელი ცხოვრება საქართველოს სიყვარულში გაატარა. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“. მთელი ცხოვრება ქართული საზოგადოების წევრი გახლდათ, რის გამოც რამდენჯერმე პრობლემაც შეექმნა, მაგრამ მაინც ბოლომდე დარჩა ამ საზოგადოების წევრად და საწევროსაც იხდიდა. თუმცა, აკრძალვის გამო შეკრებებს ვერ ესწრებოდა.

„გამანადგურებლის მეფის“ - ქართველიშვილის სახელი

შეტანილი იყო ნიგნში „who is who“. იყო ტემპლისა და ბრუკლინის უნივერსიტეტების საპატიო დირექტორი, სახელმწიფო საავიაციო კომიტეტისა და მრავალი საზოგადოების წევრი. ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ქართულ-კავკასიური საზოგადოების „ალავერდის“ წევრობა, სადაც თანამემამულეებთან და კავკასიელებთან ჰქონდა ურთიერთობა.

თვითმფრინავის შექმნისა ქართველიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მის აეროდინამიკას და გარეგნულ, ესთეტიკურ მხარეს. პენსიაზე გასვლის შემდეგაც მუშაობდა თავის კომპანიაში. იყო ამერიკის ნაციონალური აერონავტიკული ასოციაციის წევრი, საერთაშორისო საავიაციო საზოგადოებისა და სხვა საავიაციო ორგანიზაციების წევრი, მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი. უცხო ქვეყანაში მან საკუთარ წარმომავლობაზე გაამახვილა განსაკუთრებული ყურადღება და სახელად ალექსანდრე ქართველი დაირქვა.

ალექსანდრე ქართველი, 1974 წელს, ნიუ-იორკში გარდაიცვალა. ბატონმა რამაზ ბლუაშვილმა იპოვა და მოინახულა ქართველებისგან მიტოვებული მისი საფლავი. „თქვენ ხართ პირველი ქართველი, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში მოხვედით აქ“ - ასე მიმართა საფლავის მომვლელმა.

ნიუ-იორკში, მუზეუმად ქცეულ მდინარე ჰუდონის ყურეში, დგანან 50-60-იან წლების თვითმფრინავები, ვერტმფრენები და საომარი საჭურველი, მათ შორის რეაქტიული ზებგერითი „Republic“ F-84 „Thunderstrik“, როგორც ამერიკული გამანადგურებლების ქართველი მამის - ალექსანდრე ქართველის ძეგლი.



თამუნა ხურცილაძე კერძო სკოლა ლიცეუმ „მნივობარტუხუცესის“ IX კლასის მოსწავლე

P.S. რეჟისორ-მკვლევარ რამაზ ბლუაშვილთან შეხვედრა რომ არა, ბევრს ვერაფერს გავიგებდით დიდი ქართველის (მას დღემდე ასე მოიხსენიებენ ნასასა და ამერიკულ სამხედრო ელიტაში) შესახებ, რადგან მას შთამომავლობა არ დარჩენია. ბატონი რამაზი იხსენებს: „სამი წლის წინ, დეტროიტის ავიამოლზე გავიცანი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, რომელიც, თავის დროზე, ქართველიშვილის მიერ შექმნილი P47-ით დაფრინავდა. მე ვკითხე, თუ რა იცოდა თვითმფრინავის შემქმნელის შესახებ, რაზეც მიპასუხა, რომ მისი ავტორი რუსი ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი იყო. ძალიან შევწუხდი და აუფხენი, რომ ქართველიშვილი რუსი კი არა, ქართველი იყო. ქართველიშვილი ერთადერთხელ ჰყოლია ნანახი, 1962 წელს, მაგრამ ამ თვითმფრინავზე მეტად არაფერი ჰყვარებია. ძალიან გაუხარდა, რომ ის საქართველოდან ყოფილა“.



ინფორმაცია

ქართული ბავშვები ხარისხიან განათლებას მიიღებენ

ესტონეთის მთავრობასა და გაეროს ბავშვთა ფონდს (იუნისეფს) შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს სამწლიანი პროგრამის დაწყების შესახებ...

ესტონეთის განათლების სისტემამ დაამტკიცა, რომ სამაგალითო ევროკავშირისა და სხვა ქვეყნებს შორის, რაც ასევე დადასტურდა ესტონელი მოსწავლეების უმაღლესი შედეგებით 2015 წლის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) კვლევაში...



გაეროს ბავშვთა ფონდი დახმარებას გაუწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში...

- მასწავლებელთა კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებაში ეროვნულ დონეზე ბავშვების ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად;
• ისეთი სასწავლო გარემოს შექმნაში, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების მალალ აკადემიურ მოსწრებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროს, „ინოვეს“ (ესტონეთის პროფესიული ფონდს), გაეროს ბავშვთა ფონდსა და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებს და საპილოტე სკოლებს შორის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, ძირითადად:

- შემუშავდება ბაკალავრიატის და სამაგისტრო საფეხურის ახალი პროგრამები და საქართველოს უნივერსიტეტებში დაინერგება სკოლამდელი და ზოგადი განათლების მასწავლებლების მოსამზადებლად და პროფესიული საქმიანობის წარმატებით დასაწყებად პროგრამები...

საქართველოს განათლების სისტემაში მრავალი რეფორმა გატარდა უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში. აღნიშნული რეფორმები პროგრესულად შეფასდა, თუმცა დარჩა გამოწვევები ისეთ სფეროებში, როგორცაა, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა, სწავლებისა და სწავლის პროცესები და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება...

ველსაყოფად სკოლამდელი და ზოგადი განათლების სისტემაში და მასწავლებელთა მოსამზადებლად პროფესიული საქმიანობის დასაწყებად არსებითია უნივერსიტეტების როლი.

პირველი სტიპენდიანტები



„გურული დღიურების“ ფონდის თავმჯდომარემ, პოეტმა გიორგი კეკელიძემ პირველი პრემიები გასცა. ფონდის პირველი სტიპენდიანტები გახდნენ: ოზურგეთის მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლეები, დები – ლია და ნია გეგაიძეები, სოციალურად დაუცველი ოჯახიდან და პირველი საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე – ქეთი ქობულაძე...

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, პოეტი გიორგი კეკელიძე სიხარულით ამბობს: „როდესაც ანა კალანდაძის და სხვების რეკომენდაციით, მერვეკლასელ ოზურგეთელ ბიჭუნას პრეზიდენტის პრემია მომანიჭეს, ოცნებაშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ დღეს, ოზურგეთში, ჩემი დანერგული ნიგნის სახელობის პრემიას გავცემდი. ამ ბავშვების სიხარულზე დიდია ჩემი სიხარული“.

რეზა თოფურია

ვინ უკეთ იცნობს იაკობს?

ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის ყველა ქართველს და, მით უფრო, დაწყებითი კლასების ყველა პედაგოგს აქვს პრეტენზია.

მეც ასე ვარ. იაკობ გოგებაშვილის სახელი მესმოდა ოჯახში ჯერ კიდევ სკოლამდელ ბავშვს. დედა პედაგოგი იყო, მოსწავლეები თითქმის ყოველ წელს დაჰყავდა სოფელ ვარჩხანში, დიდი პედაგოგის სახლ-მუზეუმში, მისი უკეთ გაცნობის მიზნით და მეც თან დამატარებდა. მაშინ, ცხადია, არ მესმოდა ძია იაკობის ღვაწლის მნიშვნელობა...

გავიზარდე, ფონეტიკის შესწავლა დავიწყე და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როგორ მოახერხა ორი ხმოვნით, მათი ადგილის მონაცვლეობით წინადადების – „აი ია“ შედგენა. შემდეგ და შემდეგ კი გავიგე, რომ „იაკობი იყო კაცი, კაცი კი არა დამართი, რომელმაც 33 მზე ანთო ყრმათა თავზე“.

უპირველეს ყოვლისა კი, ქართველი ხალხის ცნობიერებაში იაკობ გოგებაშვილის სახელი ასოცირდება არა მარტო ანბანის სახელმძღვანელოებთან, არამედ ქართველობასთან, ეროვნულობასთან. დიდი იაკობი მარტო ნორჩების მასწავლებელი როდია, იგი ბურჯია ეროვნებისა, ერის დიდი მოძღვარი და აღმზრდელია. დიდი მეცნიერი კორნელი კეკელიძე ზრძანებდა: „თუ დედა ადამიანის ფიზიკურად მშობელია, პედაგოგი მისი სულიერად მშობელია, რამეთუ ის გონებრივად, ზნეობრივად წვრთნის მას, აყალიბებს და აფორმებს პიროვნებას“.

აქედან გამომდინარე, იაკობ გოგებაშვილი მასწავლებელთა მასწავლებელია. არ არსებობს მასწავლებელი, იაკობ გოგებაშვილის დამოძღვრილი რომ არ იყოს, არ არსებობს მასწავლებელი, იაკობ გოგებაშვილის იდეებზე აღზრდილი რომ არ იყოს. ერთ ბრძენ კაცს უთქვამს: „პედაგოგობა პროფესია არ არის, პედაგოგობა ბედისწერაა“. აი, რა ბედისწერა არგუნა დიდ პედაგოგს ყოვლისშემძლე დემონმა! მასწავლებელთა მასწავლებლობა!!!

იაკობის სახელი მრავალ საუკუნეს გაუძლეოს, იგი ყოველი საუკუნის თანამედროვე პიროვნებად დარჩება, რადგან მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების საკითხები იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოძღვრებაში უძირო ზღვას ჰგავს, ამოუწერავი და დაუშრეტელია.

მთავარი და ძირითადი იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობასა და შემოქმედებაში არის სამშობლოს სიყვარულის მაღალი და კეთილშობილური იდეა. იაკობს აუცილებლად მიაჩნდა, რომ ადამიანი ბავშვობიდანვე ენეოედეს მშობლიური მიწა-წყლის, ერის, კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის სიყვარულს. „მამულიშვილობას აღზრდა ესაჭიროება... მამულიშვილის ქვშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა ადვილი როდია“.

დიდი პატრიოტის – იაკობ გოგებაშვილის აზრით, „მამულიშვილი და პატრიოტი ჰქვია იმას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზად გადალობება,“

ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ღვინითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შეხსნოს მას თავისი სიცოცხლე“.

იაკობ გოგებაშვილის მრავალწინაგვიან მოღვაწეობაში ყოველთვის პირველ პლანზე ერი და ეროვნული თავისუფლებებისათვის ბრძოლა იდგა. იგი, თავისი დაუღალავი შრომით, ყოველგვარ ღონეს ხმარობდა ქართველთა შორის მამულიშვილური გრძნობის გაძლიერების, აღორძინებისა და განვითარებისათვის.

იაკობ გოგებაშვილი მიიჩნევს, რომ ჰუმანიზმი ადამიანის პირადი კულტურის და ღირსების საზომია. ჰუმანურ თვისებებს მოკლებული ადამიანი არ არის ნამდვილი ადამიანი, ნამდვილი ადამიანის აღზრდის პრინციპია მისი ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარება. დიდი პედაგოგის აზრით: „პედაგოგიური ნიჭი ვერ დაისადგურებს ვერც კერძო კაცში და ვერცა ერთში, გარეშე ნამდვილი ადამიანური გრძნობისა“. იაკობს მიაჩნდა, რომ სკოლა უნდა აღზარდოს ჰუმანიტი, სულგრძელი, კაცთმოყვარე ადამიანები. კაცთმოყვარეობის გრძნობის აღზრდა მიაჩნდა ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის და ადამიანში ადამიანურობის აღზრდის მონივრე პრინციპად. იგი ამბობდა, რომ აღმზრდელი უპირველესად თვითონ უნდა იყოს ჰუმანიტი, რომელიც მოზარდებში აღმოაჩენს მათ საუკეთესო მხარეს და ხელს შეუწყობს ამ საუკეთესო თვისებების განვითარებას. აღმზრდელისაგან მოითხოვდა აღზრდელისადმი პატივისცემას. „ისეთი ფრიადი თოვლი და ყოვლად ძნელი საქმე, როგორც ადამიანის აღზრდა და სწავლებაა, ხელიდან გამოუვა მხოლოდ მათ, ვისაც ასულდგმულებს გულწრფელი სიყვარული მოყვასთა მიმართ“ – გვმოდღერავდა იაკობი.

„ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ სამშობლო ენა“ – ამბობს დიდი იაკობი. ამ ბურჯის აღორძინებას, დაცვას და მის სინმინდეს შეაღია თავისი სიცოცხლე. იგი იყო მკაცრი და უდიდესი დამცველი დედაენისა, მიაჩნდა, რომ ენა არის „ძირითადი ეროვნული ძალა“, „მთავარი ბურჯი ეროვნების“, „ენა აზრისა და გონებისა“, დედაენა არის აღზრდის, სწავლისა და განათლების ძირითადი და მთავარი საშუალება. იაკობ გოგებაშვილი ამბობს, რომ „ქართული ენა ეკუთვნის მაღალი აგებულობის ენათა დასს“. იცავდა რა ქართულ ენას, გოგებაშვილი მოითხოვდა, რომ ქართველ ბავშვს ქართულ ენაზე უნდა ესწავლა. ამავ დროს, რუსული ენის შესწავლას და, საერთოდ უცხო ენების ცოდნასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მოითხოვდა, რომ ეროვნული სკოლები ყოფილიყო „კეთილად მოწყობილი“ და რომ მხოლოდ მშობლიურ ენაზე ყოფილიყო სწავლება.

ერის აღმავლობის, ადამიანთა ჰარმონიული აღზრდისა და განვითარების მთავარ საშუალებად დიდ პედაგოგს ეკლესია მიაჩნია. ეკლესიამ ჩვენს ერში დაწერა სარწმუნოებრივი და მამულიშვილური გრძნობა, ეკლესიამ გაამრავალფეროვნა ჩვენი ლიტერატურა, ეკლესიამ საქართველო დაამშენა ტაძრებითა და მონასტრებით, შეადგინა ქართველებში მაცხოვრისა და მამულის მხურვალე სიყვარული. „ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა“.

იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა „საღმრთო სჯულის“ ქართულ ენაზე შესწავლას. მოითხოვდა სასულიერო სასწავლებლების დაარსებას.

დიდი მოძღვარი და განმანათლებელი მოითხოვდა სკოლებში მაღალ დონეზე ყოფილიყო გეოგრაფიის, საბუნებისმეტყველო საგნების, ქვეყნის ბუნების შესწავლა. იგი ასაბუთებდა აღნიშნული საგნების შესწავლის აუცილებლობას და აღნიშნავდა, რომ მოზარდს უფრო მეტად შეუყვარდება მშობლიური კუთხე, თუკი მის შესახებ ყველაფერი ეცოდინება.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მოზარდის ესთეტიკურ აღზრდას. მოზარდს უღვივდება მშვენიერების წვდომის გრძნობა, ფაქიზი და ლამაზი სული უყალიბდება ესთეტიკის გავრცელებულზე. მას „დედა ენაში“, „ბუნების კარში“ და „რუსკოე სლოვოში“ შეჰქონდა ისეთი მხატვრული თხზულებანი, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მაღალი დონის ესთეტიკურ და პედაგოგიურ მოთხოვნებს როგორც შინაარსით, ისე ენით. „აძლევენ მასწავლებლის ხელში მძლავრ ღონისძიებას, რომ მან ერთი მხრით, ყმაწვილების გონებაში დაწეროს სამოქალაქო გახსნის თესლი, შეიტანოს მათ აღზრდაში ესთეტიკური და ზნეობრივი ელემენტი, შეიყვანოს მათი გონება მაღალი ჰუმანობის სფეროში და მათ გულს გააცნოს ღრმა კაცური გრძნობანი და კეთილშობილი ღმერთის გონებისა, – მეორე მხრით გადასცეს მათ ცოცხალი ცოდნა ქართული ენის ხასიათისა, თვისებისა, მისი სულისა, სიმდიდრისა“.

დიდ სულიერ სიმდიდრეს ხედავდა იაკობ გოგებაშვილი ქართულ ფოლკლორში. თავის შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობდა ზეპირსიტყვიერებას, ზოგი უცვლელად შეჰქონდა წიგნებსა და ჟურნალებში, ზოგსაც მისებურად, მაღალ პედაგოგიურ დონეზე გადააკეთებდა ხოლმე. საბავშვო მოთხრობებში პატარებს ისე მიმზიდველად მარად დასამახსოვრებლად უამბობს საქართველოს ისტორიის, ბუნებისმცოდნეობის შესახებ, რომ აღსაზრდელებს აწვდის სულიერ საზრდოს, ძვალს უმაგრებს და გულს უკაჟებს, აყვარებს სამშობლოს.

უსაზღვროა იაკობ გოგებაშვილის შემოქმედება, უშრეტი და უკიდევანოა. ერთს დაჰქენ მხოლოდ, არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი კუთხე-კუნჭული, მოზარდის ჰარმონიული აღზრდის არც ერთი საკითხი, დიდ მასწავლებელს თავისი ჭკვიანური აზრი რომ არ ეთქვას. ამიტომაც დატოვა დიდმა პედაგოგმა ჩირაღდანით ანთებული სახელი – დიდი იაკობი.

ვინმე რომ გვეითხოს, რა გააკეთეთ ქართველებმა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ჩვენ ვუპასუხებდით – გვეყვდა უამრავი გამოჩენილი ადამიანი, პატრიოტები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლები, ერის ჭირისუფალნი და გვეყვდა დიდი პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც დაგვიწერა „დედა ენა“.

განა ეს ცოტაა?

ჩემი სათქმელი განგებ არ დავტვირთვ იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიული ცნობებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართველებმა ვიცით ღირსეული წინაპრების ღირსეულად დაფასება. იაკობ გოგებაშვილის უკვდავებას მიეძღვნა მისი ნიგნის – „დედაენის“ ძეგლი თბილისში. ვგონებ, ასეთი თემებიც დიდი პედაგოგის უკვდავებას ეძღვნება.

ნანა ძაძანაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის №219 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

გამრავლება-გაყოფის სწავლების მეთოდის საკითხები



ზუზუბ მშანიანი

როგორც შეკრების სწავლა არ ნიშნავს ჯამების მნიშვნელობაზე დახედვას...

III კლასამდე მოსწავლემ უკვე კარგად უნდა იცოდეს ამგვარი ჩანაწერები:

9 4 = ცხრა ცალი ოთხეული. ეს კი იგივეა, რაც 4 + 4 + 4 + 4 + 4 + 4 + 4 + 4 + 4.

Table with 2 columns and 8 rows showing addition and multiplication patterns for numbers 2 through 9.

III კლასში ვინცებთ სხვადასხვა რიცხვის წარმოდგენას ტოლ შესაყრებად და, ზეპირი გამოთვლების შედეგად, საბოლოოდ, მივიღებთ მარჯვნივ მოცემულ ნიმუშებს.

ამგვარი სავარჯიშოები კეთდება უფრო დიდი რაოდენობებისთვისაც. მასწავლებელს არ უნდა ეგონოს, რომ გამოსახულებაში ერთდროულად მივაყრებთ ესოდენ მრავალჯერ გამეორება ზედმეტია ან უხეხულობა. არა, პირიქით, სწორედ ამით ჩასწვდება ბავშვი იმას, თუ რა არის გამრავლება - როცა საკუთარი ხელით 9-ჯერ დაწერს 4-იანს! ისიც კარგია, ბავშვი რომ დათვლის ხოლმე ამ შესაყრებად რაოდენობას.


ჩვენ უკვე პირველ კლასში შემოგვაქვს ცნება „ნაშთი“ - გაყოფისგან დამოუკიდებლად. მაგ., როცა 38 ცალ კუბიკს ოთხეულად დავაწყოთ, მივიღებთ: 9 \* 4 + 2. „ცხრა ოთხეული და ნაშთი ორი“, ანუ „ცხრა ოთხეული და კიდევ ორი“.

ამგვარი მეთოდით სწავლებისას მოსწავლეებმა II კლასშივე იცინან, რომ 9 \* 4 არის ტოლ შესაყრებად (ოთხეულთა) ჯამი. ერთდერით, რჩება იმის გააზრება, რომ 9 \* 4 რაოდენობით იგივეა, რაც 4 \* 9. ეს კი პირდაპირ ჩანს ცხრილის თვალსაჩინოებით - ოთხი ცხრაეული, ანუ 4 \* 9 რაოდენობით იმდენივეა, რამდენიცაა ცხრა ოთხეული, ანუ 9 \* 4. გინდა ასე შეხედო და გადათვალე და გინდა - ისე. თანაც, შეკრებასთან ანალოგიით, გადანაცვლებადობა სასესიო ბუნებრივი და ადვილია.

ნამრავლი იმით გამოირჩევა ჯუფთებისაგან, რომ ჯუფთები ყოველთვის რაღაც საგნების ჯუფთებია, ხოლო ნამრავლი - ზოგადი და განყენებულია, „ცარიელი“ რიცხვებითაა.

ასევე, სულ ადვილად შემოგვაქვს ნაშთიანი გაყოფა - ვითარცა გამრავლების საპირისპირო მოქმედება (იხ. ტექსტი №2 ნინარე სტატიაში), ოღონდ არა - თანაბარი დანაწილება. მაშასადამე, გამრავლება და გაყოფა რაც შეიძლება უფრო მეტად უნდა დაემყაროს შეკრებას.

ამრიგად, ყველა არითმეტიკული მოქმედება, საბოლოოდ, უნდა დაიყვანოს სხვადასხვა სიმრავლის წევრების რაოდენობებზე, ანუ თვალზე. სხვათა შორის, ამას ენაც გვიჩვენებს: სიტყვის „გამოთვლა“ ფუძეა „თვლა“.



სქემაზე თვალსაჩინოა მოქმედებათა იერარქია: რომელია მალალი რიგის მოქმედება და რომელი - დაბალისა.

სქემაზე სხვა რამეც თვალსაჩინოა: ზეპირი (გონებაში) მოქმედების უპირატესობა, წერილობით შედარებით. წერილობით მოქმედება ნინანარ კარგად განმტკიცებულ იმავე ზეპირ მოქმედებას უნდა დაემყაროს, თანაც ნამყვანი მაინც ზეპირი მოქმედება უნდა დარჩეს.

ამ გეგმის დარღვევა, რომელიმე ისრის, ანუ მჭიდრო კავშირის გაწყვეტა არითმეტიკულ მოქმედებათა ცოდნას შინაარსულობას დაუკარგავს და სქოლასტიკურ მანიპულაციებში გადაიყვანს მათ. ხოლო ამ გეგმის დაცვა მოსწავლის მიერ ქვემინერის წესების გააზრებულ დაუფლებას განაპირობებს (ეს კი უდიდესი მათემატიკური მიღწევაა); მიგვალწვევებს სასკოლო მათემატიკის ერთ-ერთ უმთავრეს ზოგად მიზნამდე - რიცხვის გუმანის განვითარებამდე.

ამ გეგმით სწავლებას ერთი გარეგანი სირთულე ახლავს: მასწავლებელმა უნდა გააფრთხილოს მოსწავლეთა მშობლები, რომ სწავლებაში ჩარევით საქმე არ გააფუჭონ (მშობელს ხშირად ეჩქარება, რომ შვილს ქვემინერით ანგარიში დაანყებინოს, სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია). უფრო მეტიც, თავად მასწავლებელსაც უნდა ახსოვდეს ის, თუ რა აქვს ნასწავლი კლასს და უნებურად ნაადრევი ქმედებები არ დაიწყოს.

ტიპური შეცდომა: ნულების დამახსოვრება და ჩამოცილება გამრავლება-გაყოფისას.

კარგადაა ცნობილი, რომ ნულიანებით დაბოლოებული რიცხვების გამრავლებისას მოსახერხებელია, რომ მარჯვნივ მინერული ნულიანებს ყურადღება არ მივაქციოთ: რიცხვები ისე გადავამრავლოთ, თითქოს ეს ნულები არცაა. გადავამრავლოთ ნულების გარეშე. ოღონდ ეს ნულიები დამახსოვრებული უნდა გვქონდეს და გადავამრავლებით მიღებული რიცხვის ჩანაწერის ისინი ისევე უნდა მივუხერხოთ!

გაყოფისას? როცა გასაყოფი ბოლოვდება ნულიანებით, მაშინ:

- 1) უნდა დავიწყეთ ქვემინერით ან ზეპირად გაყოფა ჩვეულებრივად;
2) თუკი გასაყოფი ნულიანებამდე უნამთოდ გაიყო, მაშინ გაყოფას შევწყვეტთ და განაყოფს მივუხერხეთ გასაყოფის ნულიანებს, მაგ.;

54000 : 600 = ?
54000 : 600 = 54000 : (6 \* 100) = 54000 : 6 : 100
(ან მეორენაირად: 54000 : 100 : 6),
ხოლო 54000 : 6 გაყოფისას ნულიანებით დამახსოვრება ხომ უკვე ვიცით! 54 : 6 = 9, ამიტომ დავწერთ 9-ს, მას მარჯვნივ მივუხერხებთ გასაყოფის დამახსოვრებულ ნულიანებს: 9000; შემდეგ კი ნაწილობით გაყოფის დამახსოვრებულ ნულიანებს: 90. სწორედ ესაა პასუხი.

მაშასადამე, საზოგადოდ: შეიძლება, ჯერ გაყოფით ნულიანების უგულვებლყოფით, შემდეგ განაყოფს მარჯვნივ მივუხერხოთ იმდენი ნულიანი, რამდენიც აქვს გასაყოფს (დამახსოვრებულები), შემდეგ კი ნაწილობით იმდენი ნულიანი, რამდენიც აქვს გამყოფს.

4) თუკი უნამთოდ არ გაიყო, მაშინ? ტრადიციული სწავლების შედეგია ტიპური შეცდომა ნაშთიანი გაყოფისას, რომელიც მოედით არა მარტო მოსწავლეებს, არამედ აგრეთვე მასწავლებელთა უმრავლესობასაც, მაგ., დაიწყეს ქვემინერით გაყოფა: 2719 00 : 9 = ?

გასაყოფს ჩამოაცილეს ნულიანები და მიიღეს: 2719 : 9 = 302. შემდეგ კი განაყოფს მიუხერხეს ის ჩამოცილებული ნულიანები: 2719 00 : 9 = 302 00 (ნაშთი ?)

მაგრამ აქ განაყოფიც კი უკვე მცდარია, რადგან სინამდვილეში: 271900 : 9 = 30211 (ნაშთი 1).

ე.ი. ამგვარ შემთხვევებში ნულიანები არ უნდა ჩამოვაცილოთ და ქვემინერით გაყოფა ჩვეულებრივად განვაგრძოთ ბოლომდე, ვიდრე არ მივიღებთ ჩვეულებრივად ნაშთს.

ასეთივე შეცდომა მოსდით მაშინაც, როდესაც გამყოფიც ნულიანებითაა დაბოლოებული, მაგ.: 102 000 : 50 000 = 102 : 50 = 2 (ნაშთი 2); ან შემდგომი შეკვებით: 102 000 : 50 000 = 102 : 50 = 51 : 25 = 2 (ნაშთი 1).

1210 : 900 = 1 (ნაშთი 310), ნულების ჩამოცილებით კი მივიღებთ მცდარს: 1210 : 900 = 121 : 90 = 1 (ნაშთი 31). ამიტომ ნულების დამახსოვრების წესს ვერც ამ შემთხვევაში ვერ გამოვიყენებთ. მაშასადამე, არ უნდა დაგვაყინდეს, რომ:

ნაშთიანი გაყოფისას ნულების ჩამოცილება-დამახსოვრება არ შეიძლება!

თემისთვის საჭირო სასწავლო რესურსები

რიცხვთა სხვის მრავალი სახესხვაობა აქვს. I კლასში ესაა რიცხვთა კიბე (პლაკატი ან ვირტუალური), მის საფეხურებზე მოსწავლე ატარებს თოჯინას, დათუნის ან სხვა პატარა სათამაშოს: დაიწყე 3-ით, მიუმატე 4 (აიყვანს ზევით 4 საფეხურით), გამოაკელი 5 (ჩაიყვანს ქვევით 5 საფეხურით), მიუმატე 3, მიუმატე კიდევ 3, გამოაკელი 4, რა მიიღე?

მომდევნო დონეზე, I კლასის ბოლოს, მოსწავლე ასრულებს დავაზე ან ნიგნში დაწერილ მრავალმოქმედებებს შეკრება-გამოკლებას 20-ის ფარგლებში, მასწავლებელი მხოლოდ ამონებებს მის მოქმედებებს და საჭიროებისამებრ ეხმარება. რიცხვთა კიბეზე მოქმედებათა ხშირად ჩატარება ძალიან ადვილია, თამაშივითაა და თითქოს არაფერს ავითარებს. მაგრამ, სინამდვილეში, ძალიან საჭიროა: რიცხვთა კიბეზე ადვილად სრულდება თუნდაც ათმოქმედებანი შეკრება-გამოკლებაც კი. მოსწავლე სანახევროდ თამაშით იანგარიშებს, მაგრამ ამის მრავალჯერ გაკეთების შემდეგ თავისთავად დამახსოვრდება გამოთვლები, ბოლოს კი ზეპირად, გონებაშიც შეძლებს! და ბავშვს არ შეეშინდება გრძელი, მრავალმოქმედებანი გამოსახულებისა!

მომდევნო დონე II კლასში კიბისებურად, დახრილად დახაზული რიცხვთა სხივი 40-ის ფარგლებში, შემდეგ კი რიცხვთა სხივი პორიზონტული ხდება. მოსწავლე სხივის დაწყებებზე ამოძრავებს უკვე არა სათამაშოს, არამედ კალმისტრის ან ჯოხის წვერს.

მოსწავლის სახელმძღვანელოში მრავლად უნდა იყოს ამოცანები რიცხვთა სხივებზე.

III-IV კლასებში უმნიშვნელოვანესია „გამრავლება-გაყოფა რიცხვთა სხივზე“. ჩვენი დაკვირვებისა და მრავალწლიანი პრაქტიკული პედაგოგიური მუშაობის საფუძველზე, ამკარად ჩანს: გამრავლება-გაყოფის სწავლებისათვის არაა ეფექტური ტრადიციული „გამრავლების ტაბულა“ (ანუ „პითაგორის ცხრილი“).

Grid of multiplication tables for numbers 2 through 10, showing various mathematical patterns and results.

გამრავლების ცხრილის (და არა - „ტაბულის“!) ზეპირად დამახსოვრება, ცხადია, აუცილებელია. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არ უნდა გახდეს ამ თემის მთავარი საკითხი - მთავარია გამრავლება-გაყოფის მოქმედებათა, ცნებათა კარგად გააზრება. მეორეც, გაზეპირებისათვისაც უკეთესია ჩვენეული თვალსაჩინოება.

არ უნდა მოველოდეთ, რომ მოსწავლე III კლასშივე დაიზეპირებს თუნდაც ძირითად ნამრავლებსა და განაყოფებს. ეს თანდათან მოხდება IV-V კლასებში. საკლასო თუ საკონტროლო წერებზე, და მით უმეტეს, საშინაო დავალების შესრულებისას, მოსწავლეს სულ თვალწინ უნდა ჰქონდეს გამრავლება-გაყოფის თვალსაჩინოება და მოიშველებდეს მას.

შემდეგი არგუმენტები ჩვენივე ჩვენეული თვალსაჩინოების უპირატესობას - შედარებით ტრადიციულ „გამრავლების ტაბულასთან“. მოძებნეთ ერთი ზედმეტი, რომელიც არაფერ შუაშია:

- ა) ჩვენეული თვალსაჩინოება გაცილებით უფრო მოსახერხებელი და თან ნაყოფიერია ჯგუფურ აქტივობათა დროს.
ბ) უფრედებიან ცხრილში მოსწავლე უშუალოდ ვერ ხედავს თანამრავლებსა და მათ ნამრავლს - სვეტისა და სტრიქონის გადაკვეთის მოქმედება ძნელი კი არაა, მაგრამ სრულებით ვერ შეუწყობს ხელს ნამრავლის დამახსოვრებას მხედველობითი მეხსიერებით. ხოლო თუკი ნამრავლები სიაში ჩამოწერილი ტოლობათა სახით (სვეტებად - ნინათ რვეუ-





კვადრატული დასახარება

ლების გარეკანზე რომ იყო, მაშინ მოსწავლეს თვალები უჭრებოდა და მხედველობითი მეხსიერების ქმედითობა მაინც კინდებდა. ჩვენივე თვალსაჩინოებაზე კი თანამარაველები კარგადაა გამოკვეთილი, მათ ზემოდან ნამრავლის მნიშვნელობა ანერია, მოსწავლეს თვალები არ უჭრებოდა და მხედველობითი მეხსიერება ყველაზე ქმედითად მუშაობს.

გ) ტოლობათა სახით ჩამოწერილი ცხრილში არ ჩანს განაყოფი. გაყოფისათვის ცალკე ცხრილია საჭირო. ჩვენივე თვალსაჩინოებაზე კი (მოსწავლის თვალის მცირე გავარჯიშების შემდეგ) უშუალოდ შეიძლება განაყოფა დანახვაც.

დ) მხოლოდ ჩვენივე თვალსაჩინოებაზე ჩანს ნამრავლთა განლაგება მატების მიხედვით, რომელი ნამრავლის მნიშვნელობა უფრო დიდი, 100-ის ფარგლებში, დაახლოებით, სად მდებარეობს, რომელი რომელზე მეტია თუ ნაკლები, მერამდენე ათეულში თუ ოცეულში ხვდება და სხვა. ყოველივე ამის ხშირი დანახვა გაცილებით უკეთ ავითარებს რიცხვის გუჟანს.

ე) მხოლოდ ჩვენივე თვალსაჩინოებაზე შესაძლებელი ნაშთიანი გაყოფის გათვალსაჩინოება.

**1. შემდეგთაგან კიდევ რის გასათვალსაჩინოებლად არ გამოდგება ჩვენივე თვალსაჩინოება?**

ა) მარტივი რიცხვები; ბ) ორნიშნა რიცხვის პოზიციურ-თანრიგობრივი ჩანაწერის დასაბუთება; გ) რიცხვის ჯერადები; დ) რომელ რიცხვებს მოიცავს თითოეული ოცეული (100-ის ფარგლებში); ე) რიცხვის გამყოფები.

2. არითმეტიკისთვის საუკეთესო სასწავლო რესურსია რიცხვთა კიბე, რომელიც შემდეგ დახრილ, ბოლოს კი შორი-ზონტულ რიცხვთა სხივად გარდაიქცევა. მათზე მოქმედებები შემდეგთაგან რომელ მისაღწევე შედეგს უწყობს ხელს ყველაზე ნაკლებად?

ა) ალგებრის თემის სწავლა - რამდენი უნდა მიუმატო გამოაკლო რიცხვს, რათა მიიღო...  
ბ) საკოორდინატო სისტემის თემის შემზადება;  
გ) რიცხვის გუჟანის განვითარება;  
დ) სტატისტიკის მიმართულების, მაგ., სკალის თემის შემზადება;  
ე) რიცხვების სიმრავლეთა უსასრულობის შემზადება;  
ვ) სხივისა და წრფის ცხრილების შემზადება;  
ზ) გავარჯიშება მრავალმოქმედებთან შეკრება-გამოკლებაში;  
თ) გავარჯიშება მრავალმოქმედებთან გამრავლება-გაყოფაში.

3. ზეპირად (ქვეშმინერის გარეშე) შესარულეთ ნაშთიანი გაყოფა:

78:8 1000:300 841:40 840:40 147:200 200:147  
მითითება: ფრჩხილებში წერია ნაშთი.  
ა) 9(2), 3(100), 21(1), 21(0), 0(200), 0(147);  
ბ) 9(6), 3(1), 21(1), 21(0), 1(53), 1(147).  
გ) 9(6), 3(100), 21(1), 21(0), 0(147), 1(53);  
დ) 9(4), 3(0), 20(1), 20(0), 0(147), 0(200);  
ე) 7(0), 6(30), 8(4), 8(1), 1(47), 0(247);  
ვ) 7(8), 3(0), 12(10), 12(0), 1(147), 1(200).

4. მოსწავლეს ნაშთიანი გაყოფაში კანონზომიერად მოსდის ერთი ტიპის შეცდომები.  
80 : 20 = 3 (ნაშ. 20) 43 : 6 = 6 (ნაშ. 7) 77 : 15 = 4 (ნაშ. 17)  
შემონმება: შემონმება: შემონმება:  
1) 3 < 20 1) 6 < 7 1) 4 < 17  
2) 20 \* 3 = 60 2) 6 \* 6 = 36 2) 4 \* 15 = 60  
3) 60 + 20 = 80 3) 36 + 7 = 43 3) 60 + 17 = 77  
შემდეგთაგან რომელი იქნებოდა ამ მოსწავლის მიერ შესრულებული ნაშთიანი გაყოფა?  
ა) 81 : 9 = 10 (ნაშ. 0); ბ) 48 : 20 = 3 (ნაშ. 8); გ) 75 : 12 = 5 (ნაშ. 15);  
დ) 18 : 9 = 2 (ნაშ. 0); ე) 80 : 20 = 5 (ნაშ. 15); ვ) 59 : 10 = 5 (ნაშ. 9).

5. გაარკვიეთ, წინა ამოცანაში მოსწავლემ როგორ შესარულა დავალება და შემდეგ როგორ შეამონმა ნაშთიანი გაყოფა. ახსენით, რა შეცდომები მოუვიდა მას:  
ა) გამოთვლებს სწორად ასრულებს, მაგრამ ნაშთს განაყოფს ადარებს (და არა გამყოფს), რის გამოც განაყოფი მცდარია; ბ) ერთდროულად ეშლება გაყოფაც და შემონმებაც, ოღონდ ურთიერთსაპირისპიროდ, რის გამოც შემონმებისას წინააღმდეგობას არ იღებს; გ) მართებულად კი ყოფს, მაგრამ ეშლება შემონმებისას; დ) მექანიკურად ეშლება განაყოფის გამოთვლა; ე) არ იცის ქვეშმინერით გაყოფა, ან რატომაც არ იყენებს მას (ზეპირად ცდილობს გაყოფას); ვ) განაყოფი სწორია, მაგრამ ეშლება ნაშთის გამოთვლა; შემონმებისას კი ნაშთს ყურადღებას არ აქცევს.

**სასწავლო ხარაჩოს აგება**

6. გოჩას ორნიშნა რიცხვის ერთნიშნაზე ქვეშმინერით გამრავლებისას შეცდომები კანონზომიერად მოსდის:  
შემდეგთაგან ყველაზე უფრო რომელი შეიძლება იყოს გოჩას მიერ შესრულებული გამრავლება?  

4	1	2
37	62	44
7	8	6
499	566	364

4	5	5	4
45	45	45	45
9	9	9	9
405	414	814	725

7. მასწავლებელმა გოჩას დასახარებლად შემდეგი აქტივობები ჩაატარა:  
I. დამატებითი ამოცანის მეშვეობით განუშტოვა ორნიშნა რიცხვის სათანრიგო შესაკრებთა ჯამად დაშლის ცოდნა;  
II. ჯერ ქვეშმინერით (ანუ გოჩასეული მცდარი წესით), შემდეგ კი ზეპირად გაამრავლებინა 32 5-ზე (ვგულისხმობთ, რომ ეს უკვე ნასწავლია) და შედეგები შეადარებინა;  
III. ერთად განიხილეს, მაინც რა ხდება ქვეშმინერით გამრავლებისას - რატომაც საჭირო სწორედ ასეთ მოქმედებათა შესრულება;

IV. გაარკვიენა, არის თუ არა ერთმანეთის ტოლი 9 \* (4 + 4) და 9 \* 4 + 4);  
V. დაავალა, მოეძებნა შეცდომა თავის მიერ ქვეშმინერით შესრულებულ გამრავლებაში. დახმარების ეს საფეხურები დაალაგეთ საუკეთესო თანმიმდევრობით - შეადგინეთ „ხარაჩო“:

ა) II, I, V, IV, III; ბ) I, II, IV, V, III;  
გ) III, V, II, I, IV; დ) III, I, V, IV, II;  
ე) III, II, I, V, IV; ვ) II, V, I, III, IV;  
ზ) I, II, V, III, IV; თ) V, II, I, III, IV.

2=1+1	2*1
3=1+1+1	3*1
5=1+1+1+1+1	5*1
6=1+1+1+1+1	6*1
6=2+2+2	3*2
6=3+3	2*3
7=1+1+1+1+1+1	7*1
8=1+1+1+1+1+1+1	8*1
8=2+2+2+2	4*2
8=4+4	2*4
9=1+1+1+1+1+1+1+1	9*1
9=3+3+3	3*3
10=1+1+1+1+1+1+1+1+1	10*1
10=2+2+2+2+2	5*2
10=5+5	2*5
22=11+11	2*11

8. შემდეგთაგან რომელი საგაკვეთილო თემისთვისაა ყველაზე შესაფერისი ეს მოცემული თვალსაჩინოება?

ა) მართკუთხედის ცნება; ბ) ცხრილის ცნება; გ) ზეპირი შეკრების ადვილი ხერხი; დ) ცხრილის სტრიქონ-სევეტები; ე) ზეპირი გამრავლების ადვილი ხერხი; ვ) თანამარაველთა გადასაცვლებლობა.

9. შემდეგთაგან რომელი საგაკვეთილო თემისთვისაა ყველაზე შესაფერისი ეს მოცემული მაგალითები?

ა) ზეპირი შეკრების ადვილი ხერხი; ბ) ცხრილური გამრავლების მაგალითები; გ) გამრავლების ცნება; დ) გაყოფის ცნება; ე) ზეპირი გაყოფის ადვილი ხერხი; ვ) ზეპირი გამრავლების ადვილი ხერხი.

10. რომელი შესაძლებლობაა გამორიცხული შემდეგთაგან?

ა) ნაშთი 2-ით მეტია განაყოფზე; ბ) ნაშთი 1-ით ნაკლებია განაყოფზე; გ) ნაშთი 2-ით ნაკლებია გასყოფზე; დ) ნაშთი 1-ით ნაკლებია გასყოფზე; ე) ნაშთი გასყოფზე მეტია ან ტოლია; ვ) ნაშთი განაყოფის ტოლია.

11. წინა ამოცანის ამოსახსნელად ასარჩევი პასუხების შესაბამისი მაგალითებია საჭირო. შემდეგთაგან რომელი მაგალითი არ გამოდგება საამისოდ?

ა) 3:2 = 1 (6.1); ბ) 7:3 = 2 (6.1);  
გ) 6:5 = 1 (6.1); დ) 20:8 = 2 (6.4);  
ე) 1:1 = 1 (6.0); ვ) 3:5 = 0 (6.3).

12. მასწავლებლის მიზანია, შეაჯამოს ნაშთიანი გაყოფის ყველა სახის მაგალითი, მათ შორის ძნელი, არატიპური შემთხვევებიც. მან კლასს პირველ მაგალითად დაავალა 41:6. გაარკვიეთ, დანარჩენი მაგალითებიდან რომელი გამოთვლის დავალებაა ზედმეტი - რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს მოცემულს:

ა) 1000:9; ბ) 55:55; გ) 45:9; დ) მილიონი : ათასი;  
ე) 6:5; ვ) 5:6; ზ) 370:30; თ) 80:9.

13. გამოთვალეთ, წინა ამოცანის თითოეული ასარჩევი პასუხის შემთხვევაში, ნაშთი - თანმიმდევრულად:

ა) 1, 0, 0, 0, 1, 5, 10, 8; ბ) 1, 0, 0, 0, 1, 0, 10, 8;  
გ) 10, 1, 0, 0, 5, 1, 1, 1; დ) 1, 1, 0, 0, 5, 1, 1, 8;  
ე) 1, 1, 0, 0, 1, 5, 10, 8; ვ) 1, 1, 0, 0, 1, 0, 10, 8.

14. გაარკვიეთ, შემდეგთაგან რომელი ტოლობაა მცდარი:  
I. 1000 : 600 = 0 (6.40); II. 30001 : 2 = 1500 (6.1);  
III. 90 : 8 = 11 (6.2); IV. 51292 : 10 = 5129 (6.2);  
V. 2812 : 20 = 140 (6.12); VI. 257102 : 100 = 2571 (6.102).

ა) III; ბ) I, III, IV; გ) II, IV, VI;  
დ) I, II, VI; ე) I, II; ვ) III, IV, V; ზ) I, II, III, VI.

15. ვთქვათ, მოსწავლემ წინა ამოცანის ყველა ტოლობა მართებულად მიიჩნია, გადაამონმების შემდეგაც. თითოეული მცდარი ტოლობის მართებულად მიჩნევას შეუსაბამეთ შემდეგთაგან ყველაზე ზუსტი შესაძლო მიზეზი - საჭირო მიზეზები დაალაგეთ მცდარ ტოლობათა თანმიმდევრობით:

1. უყურადღებობით ნული-  
ბი ვერ დათვალა;  
2. ნაშთის ცნება არ ესმის;  
3. გაყოფა შეეშალა (ნაშთის გარეშე);  
4. ნულები ჩამოაცილა და გაყოფაც შეეშალა.

ა) 3, 1, 2;	ბ) 3, 2, 4;	გ) 4, 1, 2;
დ) 4, 3, 2;	ე) 2, 1, 4;	ვ) 2, 4, 1;
ზ) 1, 3, 4;	თ) 4, 1, 3.	

16. თუკი დღეს სამშაბათია, 31 იანვარი, დილის 8-ის ნახევარი, მაშინ 254 საათის წინ იყო:

ა) 20 იანვრის დილის 6-ის ნახევარი;  
ბ) 20 იანვრის დილის 6-ის ნახევარი;  
გ) 21 იანვრის დილის 6-ის ნახევარი;  
დ) 21 იანვრის დღის 6-ის ნახევარი;  
ე) 21 იანვრის საღამოს 7-ის ნახევარი;  
ვ) 20 იანვრის საღამოს 7-ის ნახევარი.

17. რომელია შემდეგთაგან ყველაზე არსებითი საკითხი თუ თემა წინა ამოცანაში?

ა) კალენდრის წესი; ბ) დროის ერთეულები;  
გ) კანონზომიერება; დ) გაყოფისას მიღებული ნაშთი.

18. III კლასის შუახანებში მიმდინარე გაკვეთილზე მოსწავლეებმა პირველად ისწავლეს გამრავლების ცნება და მისი აღნიშვნა (გამრავლების ნიშანი). იმავე გაკვეთილზე მასწავლე-

ბელმა მოსწავლევს გამოსათვლელად მისცა:  
4 \* 120, 5 \* 150, 3 \* 250.

შემდეგთაგან რომელი შეხედულებაა მართებული?  
I. მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი გაკვეთილის მსვლელობაში, ამ გამოთვლებს შესარულდებდნენ დაშლის ხერხით და განრიგებადობის წესის გამოყენებით (მხოლოდ პრაქტიკულად - განრიგებადობის ტერმინის გარეშე);  
II. მოსწავლეები, რომლებმაც გაიაზრეს გამრავლების მოქმედება, ამ გამოთვლებს შესარულდებდნენ პირდაპირ შეკრებით;  
III. უკეთესი იქნებოდა, მასწავლებელს მოცემული ნამრავლები პირიქით ჩაეწერა: 120 : 4, და ა.შ.

IV. მასწავლებელმა ძალიან იჩქარა: პირდაპირ 1000-ის ფარგლებში გამრავლება ჯერ ნაადრევია.  
- მხოლოდ: ა) II; ბ) II, IV; გ) II, III, IV; დ) IV; ე) III, IV; ვ) II, III; ზ) I, II; თ) I, II, IV.

19. მეთოდოკურ სახელმძღვანელოში აღწერილია აქტივობა, წერია: მოსწავლეებმა ტოლ ჯგუფებად დაანყრო კუბიკები, ოღონდ ამ გაკვეთილზე ისე, რომ:  
I. უნათოდ დაეწყოს;  
II. ნუ გამოვიყენებთ კიდურა შემთხვევებს: ძალიან მცირე ჯგუფებს (ერთეულებს, წყვილებს) და ძალიან მცირე რაოდენობის ჯგუფებს (როცა სულ 1-2 ჯგუფი მიიღება);

III. კუბიკების საერთო რაოდენობა არ იყოს ძალიან დიდი (30-ზე მეტი).  
შემდეგთაგან რომელია ყველაზე გამოსადეგი ამ გაკვეთილისთვის?

ა) 12 კუბიკის დაწყობა შეიდეგულად;  
ბ) 35 კუბიკის დაწყობა თერთმეტეულად;  
გ) 10 კუბიკის დაწყობა წყვილებად;  
დ) 28 კუბიკის დაწყობა შეიდეგულად;  
ე) 22 კუბიკის დაწყობა ექვსეულად;  
ვ) 20 კუბიკის დაწყობა ათეულად.

20. წინა ამოცანის ასარჩევი პასუხებიდან მოძებნეთ, კიდევ რომელი გამოდგებოდა, რომ არ ყოფილიყო შეზღუდვა I. ე

21. იმავე ასარჩევი პასუხებიდან მოძებნეთ, კიდევ რომელი გამოდგებოდა, რომ არა შეზღუდვა I და III. ბ

22. კლასმა პირველად ისწავლა გამრავლების ცნება. გაკვეთილზე მორჩენილ დროში მასწავლებელმა მოსწავლეებს ერთობლივ მსჯელობით უნდა გაარჩევინოს გამრავლების 5 ადვილი მაგალითი (მეტი არ მოესწრება), რათა მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ გამრავლების ცნება (და არა ნამრავლის გამოთვარის საშუალებანი). შემდეგთაგან რომელი მაგალითია ზედმეტი ამ თვალსაზრისით?  
ა) 6 \* 2; ბ) 8 \* 7; გ) 5 \* 11; დ) 3 \* 100; ე) 4 \* 20; ვ) 2 \* 25.

23. მოსწავლემ რაღაც რიცხვი გაყო 45-ზე, განაყოფი მიიღო 22 და „ნაშთი“ მორჩა 65. მას გამოთვლები არ შეშლია. რა იქნებოდა მართებული პასუხი?  
ა) 24 (6.20); ბ) 22 (6.20); გ) 23 (6.43);  
დ) 21 (6.20); ე) 23 (6.20); ვ) 22 (6.43); ზ) 21 (6.43).

24. გაარკვიეთ, რომელ ტოლობაშია შეცდომა:  
ა) 75 : 15 = 5 (ნაშ. 0); ბ) 98 : 14 = 7 (ნაშ. 0);  
გ) 62 : 9 = 6 (ნაშ. 8); დ) 87 : 20 = 4 (ნაშ. 17);  
ე) 70 : 30 = 2 (ნაშ. 10); ვ) 50 : 6 = 8 (ნაშ. 2).

25. შემდეგთაგან რომელია წინა ამოცანის გამოსახულებაში შეცდომის აღწერა?

ა) ნაშთი სწორია, მაგრამ განაყოფი მცდარადაა ნაანგარიშები;
ბ) განაყოფი სწორია, თუმცა ნაშთი მცდარადაა ნაანგარიშები;
გ) ნაშთი მეტია გამყოფზე;
დ) განაყოფი მეტია გამყოფზე, რის გამოც გაყოფა შეუძლებელია;
ე) განაყოფიც და ნაშთიც მცდარადაა ნაანგარიშები;
ვ) ნაშთი არ შეიძლება კენტი იყოს.

26. ვთქვათ, ვიცით, რომ 13986000 : 74 = 189000. ანგარიშის გარეშე მოიფიქრეთ, რისი ტოლი იქნება 13986 : 74:  
ა) 74 (ნაშთი 189); ბ) 18 (ნაშთი 9); გ) 198;  
დ) 189 (ნაშთი 26); ე) 1890; ვ) 189; ზ) 94.

27. გაარკვიეთ, შემდეგთაგან რომელი წინადადებაა მართებული (იგულისხმება ზოგადად ნატურალური რიცხვები). ერთ-ერთი წინადადებისთვის (ოღონდ არა სამიჯესთვის!) გაითვალისწინეთ კონტრმაგალითი 110 : 50 = 2 (6.10).

I. ნაშთი ვერ იქნება გამყოფზე მეტი, მაგრამ შეიძლება იყოს მეტი, ვიდრე განაყოფი;  
II. თუკი გამყოფის ციფრული ჩანაწერის ბოლოს ნულიანების რაოდენობა მეტია, ვიდრე განაყოფისა, მაშინ გაყოფისას აუცილებლად მოგვრჩება არანულოვანი ნაშთი;  
III. თუკი გაყოფისას გვრჩება (არანულოვანი) ნაშთი და თან განაყოფისა და გამყოფის ციფრული ჩანაწერები ორივე ნულიანებით ბოლოვდება, მაშინ გამყოფის ბოლო ნულიანების რაოდენობა მეტია, ვიდრე განაყოფისა.  
- მხოლოდ: ა) I, II; ბ) II; გ) III; დ) II, III;  
ე) I, III; ვ) I; ზ) სამივე; თ) არცერთი.

28. მეოთხეკლასელები სულ ქვეშმინერით ყოფენ, მათ შორის იმასაც, რასაც ეს სრულებით არ სჭირდება. მოსწავლეებს არა აქვთ განვითარებული ზეპირი ანგარიშის უნარ-ჩვევები. მასწავლებელი არ იყენებს ნაშთიანი გაყოფის თვალსაჩინო მოდელს (რიცხვთა ლერძე, ნივთიერი ან დახაზული გროვებით). შემდეგთაგან აარჩიეთ ის განაყოფი, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება ქვეშმინერა:  
ა) 48:2; ბ) 83:20; გ) 120:9; დ) 43250:5000;  
ე) 1255:10; ვ) 373:60; ზ) 3402:28.

ინფორმაცია

რუსთაველის დღე ჩემს ქალაქში

„ვეფხისტყაოსანი“ ქართველი კაცის უპირველესი საუნჯეა. პოემა საუკუნეების განმავლობაში კვებავდა ქართულ სულს, შთააგონებდა მაღალ იდელებს. უკვდავი პოემა მსოფლიომ უძვირფასეს საუნჯედ აღიარა. „თუ მსოფლიო წარღვნას გადაურჩა „ვეფხისტყაოსანი“, სვეტიცხოველი და ფალიაშვილის მუსიკა, ჩათვალეთ, რომ მსოფლიო კულტურა გადაარჩენილია“ (დევიდ ლანგი). მსოფლიო კულტურის ამ თვალმუდგამ მშვენიერებას 850 წელი შეუსრულდა!

ჩვენს ძვირფას მასწავლებელთან, ნუნუ გოგოლიძესთან ერთად, შემოქმედებითა წრემ საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სცენაზე გავაცოცხლეთ რაინდული ეპოქა, ოქროს ხანა, ნანყებები რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანიდან“. სცენაზე ქართული სიტყვის ცეცხლი დაინთო და იყო ულავი სიხარული, ცრემლიც, „სიყვარულის იარაღ“. ძნელია სიტყვებით გადმოვცე, იმ საღამოს პოეზიის „მადლმა როგორ აგვაბრიალა“. ერთს კი ვიტყვი: „ვეფხისტყაოსნით“ ქართული სისხლის დინება გამორჩეულად ვიგრძენით იმ დღეს!

ჩვენ კი არა, მთელი დარბაზი გრძნობდა გამორჩეულ ძალას, სულში ხშიანებდა პოეტის სიტყვები:

„ხელში ავიღებ, გაკოცებ  
კიდევ ჩაგკოცნი, ჩაგცქერი,  
ნიგნი კი არა, ურყოლა ხარ,  
ჩამოქაფული ჩანჩქერის.“

საღამო დაამშვენა შოთა რუსთაველის (ნიკა სადუნიშვილი), მეფეთმეფე თამარის (მარიამ დეკანოიძე), ტარიელის (გიორგი ბუზალაძე), ავთანდილის (დავით დეკანოიძე) ბრწყინვალედ შესრულებულმა როლურმა სახეებმა.

მაყურებელი ოვაციით შეხვდა ლალიტა კვიციანიძის, სანდრო გუდაძის, მარიამ კაპანაძის, მარიამ გიორგაძის, ნინო, შოთა და ნიკა კაპანაძეების, ეთო ბოლოთაშვილის, ნიკა და ზვიად სამყურაშვილების, ლამა კიპარაძის, ლანა გორდენიანის, საბა აბრამიშვილის, ნანა გულორდავას, საბა აბრამიშვილის, ნინო ტყავაძის გამოსვლებს.

ყველაფერი ისე ღმაზი და შთამბეჭდავი იყო, როგორც დიდი რუსთაველის უკვდავ სახელს შეეფერებოდა. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა, ბატონმა ბერიკა დეკანოიძემ საღამოს ყველა მონაწილეს, სცენარის ავტორსა და ორგანიზატორ ნუნუ გოგოლიძეს, სამხატვრო ხელმძღვანელ ქეთევან გორგოძეს, მუსიკის მასწავლებელ გაგა გულიაშვილს დიდი მადლობა გადაუხადა.

მგონის სიტყვებით მოწუხებული მთელი დარბაზი ქუხდა:

„შემყვარებხარ ერთხელ და,  
ხომ სიყვარულიც ერთია?  
და სადაც სიყვარულია,  
იქ სინამდევა!.. ღმერთია!..  
და, როგორც ღმერთი, სამშობლოც  
ერთია... ერთადერთია.“

მარიამ დეკანოიძე  
საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის  
შემოქმედებითი წრის წევრი



სპორტი

საჭირო სემინარი სპორტის მასწავლებლებისთვის

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარეობს თეორიულ-პრაქტიკული სემინარი სპორტის მასწავლებლებისთვის, რომლის ინიციატორებიც აღიშნული უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არიან.

ეს საპილოტე პროგრამაა, რომლისთვისაც, პირველ ეტაპზე შეირჩა 20 სკოლა, ქვეყნის მასშტაბით. მათ შორისაა ისეთი შორეული და მაღალმთიანი რაიონი, როგორცაა ხულო. სემინარის ძირითად მიმართულებად აღებულია ფიზიკური აღზრდა და თანამედროვე მეთოდებით მუშაობა მოზარდებთან. მეცადინეობები თეორიულ-პრაქტიკული ხასიათისაა, ანუ რასაც თეორიულად ისწავლიან, იქვე პრაქტიკულადაც ხდება მისი განმტკიცება, ეს ყველაფერი კი ხდება ფეხბურთის, რაგბის, ხელბურთისა და სპორტის კიდევ რამდენიმე სახეობის მაგალითზე. მსგავსი სემინარები თავისთავად ხომ ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა, რომ მის მუშაობაში ორი ფსიქოლოგიც მონაწილეობს, რომლებიც ყურადღებას სპეციალური საჭიროების ბავშვებთან მუშაობაზე ამახვილებენ.

როგორც ვითხარით, სემინარი საპილოტე პროგრამის ნაწილია. ის შაბათს დასრულდება, მერე კი უნივერსიტეტისა და სამინისტროს სპეციალისტები ადგილზე შეამოწმებენ, როგორ გამოიყენებენ მისი მონაწილეები აქ ნასწავლს პრაქტიკულად, ანუ სპორტის გაკვეთილებზე. ესეც ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან ამის მიხედვით გაიკვევება, რისი შეცვლა ან შესწორება გახდება საჭირო აღნიშნულ პროგრამაში, რათა სპორტის გაკვეთილები რაც შეიძლება უფრო სასარგებლო გახდეს და მაქსიმალურად კარგად შეასრულოს თავისი დანიშნულება.

დასასრულს, კიდევ ერთ სიახლეზე გეტყვით, რომელსაც უკვე სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია გეგმავს – მ აბრილს, სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, განზრახულია ჩატარდეს თბილისის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შერეული გუნდები: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი და მანდატურთა ჩართვაც სურთ მასში.

ქალთა ჭიდაობის ბანვითარებისთვის

ძიუდოს მსგავსად, საქართველოში ქალთა თავისუფალი ჭიდაობაც თანდათან იკიდებს ფეხს, თუმცა ჯერ მაინც პირველ ნაბიჯებს დგამს, ანუ ძნელი დროება უდგას.

ამ უქმეებზე, ქუთაისის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლემ ჭაბუკ მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელშიც ბიჭებთან ერთად გოგონებმაც მიიღეს მონაწილეობა. ცხადია, ჯერჯერობით, ისინი რაოდენობრივად ჩამორჩებიან ბიჭებს და მათთან ასპარეზობა მხოლოდ სამ წონით კატეგორიაში გაიმართა. სამაგიეროდ, გეოგრაფია შედარებით გაიზარდა და გორის, თბილისისა და ქუთაისის გუნდებს, ამჯერად, საგარეჯოც დაემატა. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ოთხწლიანი პროგრამის ერთ-ერთი სამოქმედო სლოგანია „მეტი ქალი ჭიდაობაში“, რაც ქალთა ჭიდაობაში მასობრიობის ზრდას გულისხმობს. იმედია, მომდევნო წლების ჩემპიონატებში მართლაც მეტ გოგონას ვიხილავთ ხალიჩაზე, მასობრიობის ზრდა კი შედეგებსაც აუცილებლად გაზრდის.

თაობათა ცვლა ამ გუნდსაც შეეხო და რამდენიმე უკვე გადავიდა ახალგაზრდებში. მაგალითად, თამარ ხოჯაშვილი, თუმცა დარჩა გულიკო არუთინიანი, მარიამ კარელიძე და კიდევ რამდენიმე გოგონა. წარმატებასაც, ძირითადად, ძველმა ლიდერებმა მიაღწიეს, რაც მწვრთნელებისთვის დიდი მოუ-



ლოდნელობა არ ყოფილა.

46 კგ. – 1. გულიკო არუთინიანი; 2. მარიამ კარელიძე (ორივე - გორი); 3. აიშა ზადიროვა (თბილისი).

52 კგ. – 1. თამუნა სამხარაძე (ქუთაისი); 2. ხატია მინდიაშვილი (საგარეჯო); 3. ფიქრია ეტაბაძე (ქუთაისი).

60 კგ. – 1. თონა ჯანდაგაშვილი (თბილისი); 2. ქეთი ცქვიტიშვილი (გორი); 3. ხათუნა თვაური (საგარეჯო).

გოგონების საკალათბურთო ფესტივალი

18 მარტს, ამავდარი ქუთაისელი საკალათბურთო მწვრთნელისა და არაერთი ტალანტის აღმოჩენი სულიკო თოთლაძის სახელობის სპორტულ სკოლაში, დამთავრდა იმერეთის საკალათბურთო ფესტივალი, რომელშიც 2002-2004 წლებში დაბადებული გოგონები მონაწილეობდნენ. ეს ტურნირი წლეულს მეოთხედ გაიმართა.

შეჯიბრება საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ფინალურ შეხვედრაში ქუთაისის ნაკრებმა ხარაგაულის გუნდი დაამარცხა, ბრინჯაოს მედლებისთვის შეხვედრაში კი, სამტრედიის ნაკრებმა ტყიბულელ თანატოლებს აჯობა. ჩემპიონმა ქუთაისმა, ოქროს მედლებსა და დიპლომ-სიგელებთან ერთად, ოთარ სულაბერიძის სახელობის გარდამავალი თასიც დაიმსახურა.

თუმცა ტურნირმა არა მხოლოდ მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, დაჯილდოების ცერემონიაზე იმერეთის რეგიონის ვიცე-გუბერნატორი, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი და სხვა მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ. ფესტივალის საუკეთესო მოთამაშე სალომე გაბრიჩიძე გახდა, რომელიც საქართველოს კალათბურთულ ქალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ვალენტინ დერიუგინმა დააჯილდოვა. იმერეთის რეგიონული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ, რევაზ რობაქიძემ საუკეთესო მწვრთნელისთვის განკუთვნილი ვილდო ბაღდათის გუნდის მწვრთნელს, ამერიკელ მოხალისე არი პეუსს გადასცა.

# მეხსიერება და სასკოლო ასაკის ბავშვი

ყველა ჩვენი განცდა, შთაბეჭდილება, მოძრაობა ტოვებს გარკვეულ კვალს, რომელიც შეიძლება ხანგრძლივად დარჩეს გონებაში. კაცობრიობის არსებობის მანძილზე ინფორმაციის შენახვისა და აღდგენის უნარი მეცნიერთა მუდმივი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. მეხსიერება მიეკუთვნება როგორც ბიოლოგიურ, ისე კოგნიტიურ პროცესებს, რომელთა ფუნქციაა: გამოცდილების შექმნა, წარსულში აღქმულისა და განცდილის დამახსოვრება, მომავალ ქმედებებში მათი გათვალისწინება.

მეხსიერებას აქვს რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი. მაც: მოცულობა, შენახვის ხანგრძლივობა, აღბეჭდვის სისწრაფე (მაც: ვ.ა. მოცარტი და ს. რახმანინოვი ერთი დაკვირით მოსმენილ მელოდიას უშეცდომოდ აღადგენდნენ სანოტო სისტემაზე). ადამიანის მეხსიერების განვითარება პირველი პირობითი რეფლექსების ჩაახვიდან იწყება. ყველაზე ადრეული, 15 დღის ასაკში, კვებით რეაქციის საფუძველზე აღმოცენდება, ტაქტილური და ლაბირინთული რეცეპტორების გალიზიანებით. თანდათან კომპლექსში ერთდება მხედველობითი და სმენითი გამლიზიანებები. 4-5 თვიდან ბავშვი ცნობს ახლობელ ადამიანებს და მათ დანახვაზე პოზიტიურ ემოციას გამოხატავს. შემდეგ დამახსოვრება ორი მიმართულებით მიდის: სახის გასხენება შესაძლებელი ხდება რამდენიმე დღიანი ინტერვალის შემდეგ, ორი წლისთვის კი - რამდენიმე კვირის გასვლისას. ამასთან, თანდათან იზრდება იმ საგანთა არეალი, რომელსაც იმახსოვრებს. 2-დან 5 წლამდე პერიოდში: ფართოდება ლექსიკური მარაგი, რთულდება თამაშები, მეხსიერებაში ფიქსირდება ის, რაც აქტუალურია, შთაბეჭდვითი და დაკავშირებულია უშუალო სასიცოცხლო მოთხოვნილებებთან.

წინასწარგანზრახული, ნებელობითი დამახსოვრების პირველი გამოვლინება 4-5 წლისთვის იწყება, როცა ყალიბდება მეორე სახიგნალო სისტემა. სკოლაში მისვლისას ბავშვი სწავლობს, მიზანმიმართულად ცდილობს იყოს შედეგზე ორიენტირებული. თუ პირველ წლებში, მასალის დასწავლისას, ყვრდნობა ვიზუალურ და თვალსაჩინო კავშირებს, ზედა საფეხურზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ენიჭება განზოგადებულ, ლოგიკურ ცნებებს.

დამახსოვრების პროცესის პირველი ფაზა ინფორმაციის რეგისტრაციაა, რომლის დროსაც მიღებული შთაბეჭდილების გარკვეულ ფსიქიკურ ფორმატში მოქცევა ხდება. კოდირება ხდება უცვლელად ან კორექტირებით. მომდევნო ეტაპია შენახვა, რომლის დროსაც ინფორმაცია თავის ტვინის შესაბამის სტრუქტურაში ფიქსირდება. აღბეჭდილი მასალის აქტიური გადამუშავების შედეგად ხორციელდება: ვიზუალური, ბგერითი, ტაქტილური, გემოვნებითი, ყნოსვითი სიგნალების გამოფერვა, დახარისხება, სისტემატიზაცია და მათში აქცენტების გადანაწილება.

აღდგენა მეხსიერების საბოლოო ეტაპია, რომელიც, საჭიროების დროს, ადრე შეძენილი ცოდნის, უნარის, მასალის ნერვული სისტემის სტრუქტურადან გამოტანას გულისხმობს. იგი შეიძლება განხორციელდეს ნებელობით და უნებლიეთ.

მეხსიერების თითოეული ტიპის პრევალირება ხშირად ქმნის წარმოდგენას ე.წ. მიდრეკილებების შესახებ. მოზარდში გარკვეული ნიჭის არსებობა განაპირობებს საყვარელი საქმიანობის არჩევას, რაც ზრდასრულ ასაკში შეიძლება პროფესიულ სპეციალიზაციადაც ტრანსფორმირდეს. მაც: ხატვის მოყვარული ბავშვისთვის წამყვანია ინფორმაციის აღქმის მხედველობითი არხი, მუსიკალური სმენის მქონეთათვის - აუდიალური და სხვ.

**პროფესიონალი პედაგოგების დაკვირვებით:**  
**„ვიზუალი“** ბავშვი გამოირჩევა კარგად განვითარებული მხედველობითი მეხსიერებით, ჩუმად კითხულობს წიგნებს, ადვილად ერკვევა ცხრილებსა და სქემებში, დავალების შესრულებას უადვილებს რეკომენდაციების ჩანმეხვა, გეგმის დანერა, თეზისების ჩამოყალიბება. მეცადინეობისას შეიძლება იჯდეს ყურსასმენებით, თუმცა მოსმენილი მუსიკა არ აქვეითებდეს შრომის ნაყოფიერებას.  
**„აუდიალი“** ბავშვი ნათქვამს მყისიერად იმახსოვრებს, დავალებების გაკეთებისას ხმაშალა იმეორებს ტექსტს, რაც უადვილებს დამახსოვრებას. მეცადინეობისთვის ირჩევს მშვიდ გარემოს, ზოგჯერ კითხვისას შეამჩნევთ, რომ ხელებს ყურებსზე

იფარებს, რითაც ცდილობს გარედან შესული ბგერითი გამლიზიანებლების ზეგავლენის მოხსნას. მოზარდში სმენითი ფენომენის განვითარებას ხშირად მშობლებიც უწყობენ ხელს: ძილის წინ ზღაპრის მოყოლა, წიგნის კითხვა, მუსიკის მოსმენა...

მოტორული სისტემის განავვაზე ზრუნვა პირველივე კლასიდან ხდება, როცა ბავშვი ცდილობს ასოებისა და ციფრების გამართულ წერას. ტექნიკური საგნის მასწავლებლები ითხოვენ რეფლექსებს, რაც აადვილებს ტაქტილური და მხედველობითი მეხსიერების განვითარებას. საჭიროა მიწოდებული ინფორმაციაზე მოსწავლის ყურადღების დაფიქსირება და მისი გაანალიზება. ნაკითხულის ვერბალურად გამეორება დასწავლის პროცესს აადვილებს.

მასწავლებლის მხრიდან მონოლოგის ტიპის გაკვეთილის ჩატარებას ზოგიერთი აუდიტორია უხალისოდ ხვდება. მოსწავლეთათვის საინტერესოა პროცესში აქტიური ჩართულობა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ, უპირატესად, სმენითი მეხსიერების მქონე ბავშვთა რაოდენობა მცირდება, მოტორულს სასარგებლოდ. რთული მასალის ახსნისას პედაგოგები ხშირად მიმართავენ ხანმოკლე პაუზას, ყურადღების გადატანას სხვა თემაზე, რაც საშუალებას აძლევს მსმენელს, დაასვენოს ტვინის აქტიური ცენტრი. საუბრისას უნდა მოხდეს ხმის ტემბრის, რითმის ცვლა, ერთფეროვნების ასაცილებლად.

რთული და მოცულობითი ტექსტური ინფორმაციის დასახსოვრებას საინტერესოა ხუთსაფეხურიანი სტრატეგია: „PQRST“ (ინგლისურ ენაში ანბანური რიგის ფრაგმენტი). აბრევიატურაში ასოები განსაზღვრულ ეტაპს აღნიშნავს: P-Previen - მასალის წინასწარი ნახვა ან გადახედვა, Q - Question - შეკითხვა, R-Read - გულდასმით ნაკითხვა, S-Self - recitation-გამეორება, T-Test - შემოწმება. სასკოლო ასაკის კონტინგენტთან მასწავლებლის ეფექტური მუშაობისათვის, სასურველია რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობის გათვალისწინება:

- 1) ბავშვებს საინტერესო და შთაბეჭდვითი ინფორმაცია ამახსოვრდება ადვილად;
- 2) მოსწავლის ასაკისა და ინდივიდუალობის გათვალისწინებით შერჩეული მასალის დასწავლა უფრო ადვილია. რაც უფრო კარგად ესმის მოსწავლეს საგანი, მით ადვილად იმახსოვრებს ამ სფეროდან მიწოდებულ ფაქტებს;
- 3) პრაქტიკული ინფორმაცია, განსხვავებით თეორიულსგან, უფრო იოლად ათვისებადა;
- 4) ინტერესის გაღვივების მიზნით სასურველია, ბავშვმა იგრძნოს დამახსოვრების ხელმისაწვდომობა. ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მისთვის მისაღებ და გასაგებ ფორმატში;
- 5) დიდი ინფორმაციის ერთდროული მიწოდება ართულებს დამახსოვრებას. უმჯობესია, მთლიანი ტექსტის დაწინაღება ან ჯერ ზოგადი და მერე სიღრმისეული განხილვა;
- 6) უკეთესად ათვისებადა ინფორმაციის თავი და ბოლო (ე.წ. „კიდის ფენომენი“). თუ დაკვირვების ობიექტს უსისტემოდ დალაგებულ 10-მარცვლიან რიგს მივცემთ, პირველი და ბოლო ერთეული უფრო ადვილად დამახსოვრდება, ვიდრე შუამდებარე.

ენის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ თანაბარი სირთულის ოთხეტიპიან ლექსში ბავშვებს ყველაზე რთულად ამახსოვრდება მესამე სტრიქონი. ზოგი მწერალი სწორედ აქ არღვევს პოეტურ ზომას, რომ მიიზიდოს ყურადღება და მოახდინოს აქცენტირება.

მეხსიერება მზა პროდუქციის ერთგვარი საწყობია, რომლის კონტენტი პიროვნულ რეკონსტრუქციას ექვემდებარება. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს: შინაარსის დამახინჯება; ილუზორული დეტალიზაცია; სხვადასხვა დეტალების შემოჭვა ან განცალკევება; მსგავსი შინაარსის ინფორმაციის ჩანაცვლება; პიროვნული აქცენტირება და ერთტიპობრივი ობიექტების შერევა.

დამახსოვრებისთვის გაცილებით ეფექტურია გააზრებული გამოვრება, როდესაც ადამიანი ცდილობს გონებრივად გადაამოწმოს მასალა, მოაწესრიგოს და სისტემაში მოიყვანოს იგი, გამოყოს საკვანძო საკითხები, ვიდრე ავტომატური, ანუ მექანიკური პროცესი. დასწავლის მომენტში მონაწილეობს რამდენიმე ფაქტორი:

1) ინდივიდის მოტივაცია - რომელიც გულისხმობს დასწავლის განზრახვის არსებობას და მის ხასიათს, წინასწარი განწყობის არსებობას და სურვილის სისრულეში მოყვანის ნებას.

2) სტრუქტურაზაცია - რომელიც გულისხმობს ცალკეულ ერთეულების სისტემურად გაერთიანებას, რაც დაუკავშირებელ მარცვლებს მთლიან სიტყვებად, აზრიან წინადადებად, ტექსტად აქცევს. რითშიული პრინციპით დაწყობილი ლექსის დამახსოვრება უფრო ადვილია, ვიდრე მოთხრობის, ნოველის.

3) ორგანიზმის მდგომარეობა - რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს დასხომების ეფექტურობას, გულისხმობს კონკრეტული ინდივიდის ფიზიკურ და ფსიქიკურ სტატუსს ინფორმაციის ათვისების პროცესში. ამასთან, დასწავლის სისწრაფე ოპტიმალურია დილის საათებში, ხოლო სიმტიკცე - საღამოს პერიოდში;

4) გამოცდილება - იმდენად აადვილებს დამახსოვრებას, რაც მეტადაა დაკავშირებული ინდივიდი იმ სფეროსთან, საიდანაც მომდინარეობს ასათვისებელი ინფორმაცია.

5) მასალის ემოციურ-ესთეტიკური დატივრთულობა და მისი შესაბამისობა პრაქტიკულ გამოყენებასთან. ამ მხრივ საინტერესოა თვალსაჩინოების გამოყენება. ექსპერიმენტით დადასტურდა, რომ ინფორმაციის ათვისების ხარისხზე მოქმედებს: კალიგრაფის გარჩევადობა, წიგნის გვერდების სისუფთავე, სამუშაო გარემოს ვიზუალური მხარე, მასწავლებლის იერ-სახე და სხვ.

დამახსოვრების გაადვილების მცდელობა უძველესი დროიდან აქტუალური თემა იყო. მოგვიანებით გაჩნდა ინტერესი „მეხსიერების ხელოვნებისადმი“, ანუ ე.წ. მნემონიკასადმი („მნემა“ - ბერძნ. მეხსიერება). ეს არის სპეციალური სისტემის გამოყენება დამახსოვრების გაადვილების მიზნით, რომელიც ორგანიზაციის სხვადასხვა პრინციპზე დაყრდნობით, აუფხოვებს დასწავლას. თანამედროვე მნემონიკაში აღწერილია მრავალი მეთოდი, მათ შორის:

1) დასაზეპირებელი ინფორმაციის მრავალჯერადი გამეორება. მასწავლებლები ამ მეთოდს ეფექტურად იყენებენ ბაღის ასაკის ბავშვებში;

2) რითმიზაცია - ვერბალური ინფორმაციის ორგანიზაციის სტრუქტურა, რომელიც მნიშვნელოვნად აადვილებს ტექსტის შენახვას ფოლკლორში;

3) აკრონიმი - მნემონიკური ხერხი, რომელიც სახელწოდების შემოკლებას გულისხმობს და რაიმე ინფორმაციის გამომხატველი მოვლენის პირველი ასოებისაგან ყალიბდება. მაც: სპექტრის ფერების დამახსოვრებისას ეფექტურია შემდეგი წინადადება: „წადი ნახე ყარამანი, მინდვრად ცოცხალ ლომებს იჭერს“. ამ სიტყვების პირველი ასოებით იწყება ცისარტყელას ფერების დასახელებებს: „წითელი, წარწიწისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი“.

4) კომპონირება - დამახსოვრების ეფექტური მეთოდი. მასალის ჯგუფდებადობის დროს გარკვეული ობიექტები, სიტყვები ერთ რეესტრში თავსდება, არჩევის კრიტერიუმი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნიშან-თვისება.

5) ასოციაცია - გულისხმობს ერთგვარი წრის შექმნას დასამახსოვრებელი ცნების გარშემო. ანტიკურ საბერძნეთისა და რომში ორატორები გრძელი სიტყვით გამოდიოდნენ ყოველგვარი დანერლი ტექსტების გარეშე. ისინი იყენებდნენ მნემონიკის ე.წ. „ლოკუსის მეთოდებს“ (ან „რომაული ოთახის“ მეთოდი), რომლის დროსაც დასამახსოვრებელი მასალის ასოციაციის მეშვეობით უკავშირებდნენ მათთვის ნაცნობ საგანს. მაც: რომელიმე ქუჩას ან ოთახს. ტექსტის წარმოთქმისას ისინი იხსენებდნენ თეზისებს, წარმოსახული სურათის საფუძველზე კი - მასზე მიბმულ ინფორმაციას.

6) აბრევიატურა არის შემოკლება, რომელიც წარმოიქმნება სიტყვებისა და სიტყვათა შეთანხმების საწყისი ასოების კომბინირებით და იკითხება ანბანური სახელის ან საწყის ბგერათა მიხედვით. მაც: ატფ - ადენოზინტრიფოსფორმუთა. სანამუშოო მეხსიერება მხოლოდ კარგი გენტიკისა და მაღალი ინტელექტუალური დონის მარჩვენებელი არ არის.

მეხსიერების გასაუმჯობესებლად სხვადასხვა ხერხის გამოყენება მნიშვნელოვნად აადვილებს შესასწავლი მასალის ათვისებას. სააზროვნო უნარების გაუმჯობესების გარდა, იზრდება შესასწავლი მასალის ლოგიკური დამუშავების, მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფის, განვლილ მასალასთან დაკავშირების უნარები, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ახალი ინფორმაციის დამახსოვრებას. ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი IV, VI და VIII კლასების მოსწავლეებთან და ზრდასრულებთან. ექსპერიმენტის მონაწილეებს შესთავაზეს ისტორიული და გეოგრაფიული ტექსტების დამახსოვრება, რომელშიც მოცემული იყო სხვადასხვა სახელწოდებები, რიცხვები, ისტორიული პიროვნებები, რომლებიც ამა თუ იმ ასპექტით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული.

ანალიზის შედეგებით გაირკვა, რომ დამახსოვრების ხარისხი პროცენტულად იზრდებოდა კლასიდან კლასში გადასვლისას: IV კლასში აღმოჩნდა 8%, VI კლასში - 14%, VIII კლასში - 28%, ზრდასრულებში - 46%.


მეხსიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მასალის განმეორების სწორი ორგანიზაცია, შექმნილი ცოდნის სისტემატური გამოყენება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

დამახსოვრების რაციონალური მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვანი პირობაა მეხსიერების განვითარებისთვის.



**მარინა გალაშვილი,**  
 ზოგადი პროფილის ექიმი  
 ელისაბედი კუჭავა,  
 ანესტეზიოლოგ-რეანამატოლოგი

მასწავლებლის სამუშაო რეჟიმი



მასწავლებლის სამუშაო რეჟიმი პროტოკოლი... მასწავლებლის სამუშაო რეჟიმი... 4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში



ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში... 6.50 ლარი

კათედრის გაგების პორტფოლიო



კათედრის გაგების პორტფოლიო... 6 ლარი

ინტერაქტიული მეთოდების კრებული



ინტერაქტიული მეთოდები... 6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



მასწავლებლის კალენდარი... 5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის



ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის... 14 ლარი

წიგნი I, II, III, IV... XIX საუკუნის მწერლობა... თითო ტომის ფასი - 13 ლარი


მოკვლევის საბაზისი გამოცდებისთვის... თითო კრებულის ფასი - 10.90 ლარი

ქართული ენის კრებულები... სერიის ფასი - 17.70 ლარი

ნამდვილი და მოგონილი აზრები... სერიის ფასი - 32.40 ლარი



თამაზ ვასაძე კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი - 12 ლარი



ფიზიკა საატმოსფერო გამოცდისთვის - 10 ლარი



ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) - 7 ლარი




ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) - 8 ლარი



თამარ ბეროზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული) - 10 ლარი



თამაზ ვასაძე ქართული აბრიჯირებული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის - 4 ლარი



ბიოლოგია (II ნაწილი) ეროვნული გამოცდისთვის - 10 ლარი



ისტორია საატმოსფერო გამოცდისთვის - 9 ლარი

თამაგური ენციკლოპედია 'რა არის რა'... 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირისხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს 'ახალი განათლება'...

ახალი განათლება... მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3... რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს 'ახალი განათლება'...

ISSN 2233-386X... 9 772233 386008